თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი“

# P.S.

„ჩემო ქალაქო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!“



„ანშლაგების“ დაპირებით მოსული ქუთაისის ოპერის თეატრის დირექტორი „ბიკინის ზოლის“ ეპილაციას შეეწირა

იხილეთ მე-3 გვერდზე

ხატია ვედმედევას კონტრშეტევა გოგი ქიქინაძეზე

№15 (703) 12 - 18 მაისი, 2014 გამოდის 1995 წლიდან ფასი: 70 თეთრი

PSnews.ge

ეწვიეთ გაზეთ „P.S.“-ის განახლებულ საინფორმაციო ინტერნეტპორტალს www.psnews.ge-ს, ყოველდღიურად იკითხეთ ცხელ-ცხელი ამბები და იყავით ინფორმირებული!

# „კობრამ“ ქუთაისის წყალმომარაგების მოსაწესრიგებლად თუჯის მილების ფულით პოლიეთილენის მილები შეიძინა



## გელათის ქუჩის მოსახლეობას 24-საათიან წყალმომარაგებაზე ოცნება კიდევ დიდხანს მოუწევს

**ქუთაისში წყალმომარაგების მოსაწესრიგებლად აქტიური სამუშაოები მიმდინარეობს. გადათხრილია ქუჩები და არხებს მილების ჩასაყრელად ამზადებენ. თუმცა, აღნიშნული სამუშაოების დროში გაწელვასთან ერთად, გამოიკვეთა მთელი რიგი დარღვევები, რაც უბრალო მოსახლეობისთვის, როგორც მომხმარებელისთვისაც, ადვილად შესამჩნევია. კონკრეტულად, გელათის ქუჩის რეაბილიტაცია საუკეთესო მაგალითია, თუ როგორ „წარმატებით“ და „უნაკლოდ“ მიმდინარეობს ზრუნვა ქალაქის მოსახლეობისათვის უწყვეტი წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მონაცემებით, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ, კონტრაქტორ კომპანიასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც ქუთაისში, ფოთსა და ანაკლიაში სასმელი წყლის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. კონტრაქტის მთლიანი ღირებულება 59,5 მილიონი ლარია. ტენდერში გაიმარჯვა ესპანურმა კომპანიამ, Cobra Instalaciones y Servisios SA („კობრა ინსტალაციონეს ი სერვისიოს“). აღნიშნული პროექტი აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება.

პროექტით დაგეგმილი სამუშაოების განსახორციელებლად კონკრეტულად ქუთაისისათვის 26.422.935 ლარია გამოყოფილი და სამუშაოების დასრულების შემდეგ, 14.000 ოჯახს 24-საათიანი წყალმომარაგება უნდა ჰქონდეს, ხოლო 36,000 ოჯახს — გაუმჯობესებული წყალმომარაგება.

გაგრძელება მე-5 გვერდზე

## ქუთაისის მერიას წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებენ

იხილეთ მე-2 გვერდზე

## „ნაციონალების“ მერობის და გამგებლობის კანდიდატები ცნობილია

იხილეთ მე-2 გვერდზე

## პოლიტიკოსებს შორის მოწონების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ირაკლი ალასანიას აქვს

იხილეთ მე-2 გვერდზე

## ერთი დღე გაღმა ნაპირიდან

„ჩვენი ქალები რაიონში ჩასვლას ვერ ახწრებენ და გზაში მშობიარობენ“

იხილეთ მე-2 გვერდზე

## სკოლის დღიური

იხილეთ მე-6 გვერდზე

ქიმერიონი
qimerioni.ge
წიგნების მაღაზია
მისამართი: ქუთაისი, „პოპული“; ტელ.: 790 927 927.
წიგნები შენ გელოდება!
ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „პოპული“, წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“. ტელ.: (790) 927 927.

## გაკვეთილზე თოხთან ერთად „ჰერი-ჰერი“



„ყველა მთავრობა მიდის და მოდის, ჩვენი კი ისევ ისე ვართ“

იხილეთ მე-4 გვერდზე

## ლგბტ ვახტანგ ოქროპირიძე ანტიდისკრიმინაციულ კანონს უარყოფითად აფასებს



იხილეთ მე-5 გვერდებზე

PSnews.ge

სკანვორდი — გვ. 7 კროსვორდი — გვ. 7

ISSN 1987-7056

# იმერეთის გუბერნატორმა 30-კაციანი მრჩეველთა საბჭო შექმნა

**იმერეთის გუბერნატორმა ზაზა მეფარიშვილმა მრჩეველთა საბჭოს წევრები დაასახელა. პირველმა მოადგილემ, სალომე იობიძემ კი სათათბირო ორგანოს შესახებ საინფორმაციო ხასიათის პრეზენტაცია გამართა.**

მრჩეველთა საბჭო 30 წევრისგან დაკომპლექტდა, 24 მათგანი საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელია, 6 კი – იმერეთის გუბერნიის ადმინისტრაციის თანამშრომელი.

ზურაბ ქაჯაია, თეიმურაზ ლანჩავა, დავით ხახალეიშვილი, ლევან როხვაძე, ბენია თხილავა, მერაბ კვიცარიძე, რობერტ გოლეთიანი, თამაზ მიქაძე, რევაზ რობაქიძე, ზურაბ ჯავახაძე, გიზო თავაძე, თამარ ღვინიანიძე, კონსტანტინე ჭარხალაშვილი, გურამ თურქაძე, თეიმურაზ კეპულაძე, გრიგოლ ყურაშვილი, პაატა კლდიაშვილი, მერაბ კეზევაძე, მაია სიმონიძე, ალექსანდრე ბაძგარაძე, გიორგი კიკვაძე, გიორგი სიხარულიძე, მარინა შალამბერიძე, ბაკურ ბალანჩივაძე – ეს ადამიანები საბჭოს წევრებად გუბერნატორმა დაასახელა.

აღნიშნულმა საბჭომ მუშაობა უკვე დაიწყო. ზაზა მეფარიშვილის განცხადებით, მრჩეველთა საბჭო საზოგადოებასთან ურთიერთობის გაღრმავებისა და ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით შეიქმნა, ხოლო მისი წევრები პროფესიონალიზმისა და გამოცდილების მიხედვით. როგორც გუბერნატორმა აღნიშნა, საბჭოს წევრების საქმიანობა მრავალფუნქციური იქნება. ისინი შეიმუშავებენ საზოგადოებრივი საკითხების განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო პროგრამას, მოახდენენ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის ანალიზს, ხელს შეუწყობენ მედიის, ტურიზმის, კულტურის, თეატრის დასებისა და ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი ხასიათის აქტივობების დანერგვას. საბჭოს წევრები, ასევე საქმიანობის ეფექტურობის მიზნით, შეიმუშავებენ პრობლემის გადაჭრის გზებსა და კონკრეტულ რეკომენდაციებს.

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge

**მთავარი რედაქტორი:** ნატო გუბელაძე

**დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი

**ოპერატორი და კორექტორი:** ლალი კუპრაშვილი

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.

**R — ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე**

**გამომცემელი** — შპს „P.S.“ („პოსტსკრიპტუმი“). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401

გაზეთ „P.S.“-ის კლასიფიკაციის კოდი:
**UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054)**
**პ - 658**
**P - 86**

**მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის გამზირი №37ᵃ. პრესის სახლი.

- (032) 2 422 470, (0 431) 24-45-46.
- psnews27@gmail.com
- www.psnews.ge

# ქუთაისის მერიას წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებაში ადანაშაულებენ

ქუთაისის მერიას წინასაარჩევნოდ ადმინისტრაციული რესურსის და ბიუჯეტის გამოყენებაში ადანაშაულებენ. როგორც საარჩევნო ბლოკი „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ აცხადებს, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ ქალაქში გატარებული სხვადასხვა ღონისძიებები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების კარგი მაგალითია, მათივე განცხადებით, მერიის საბინაო სამსახური ქუთაისის რამდენიმე ქუჩაზე შიდა ეზოების კეთილმოწყობას აპირებს.

„ჩვენ არ ვაპროტესტებთ მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას, მაგრამ არ დავუშვებთ, ბიუჯეტი საარჩევნოდ სათავისოდ გამოიყენონ. ჩვენ გავედით ამ მისამართებზე და აღმოჩნდა, რომ მოსახლეობამ ეზოების მოწესრიგება 2013 წელს მოითხოვა, ამათ კი ტენდერი 2014 წლის აპრილში გამოაცხადეს, რათა მოახდინონ ამომრჩეველთა მოსყიდვა. ეს ხელისუფლება ვერ გასცდა „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ შემუშავებულ პროპაგანდას, რადგან მაქვს ინფორმაცია, რომ საარჩევნოდ გადასახური მასალის დარიგებას აპირებენ. მოვუწოდებ არასამთავრობო ორგანიზაციებს, დაიწყონ მონიტორინგი, რათა არ მოხდეს ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება,“ — აცხადებენ არასაპარლამენტო ოპოზიციაში.

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge

# „ნაციონალების“ მერობის და გამგებლობის კანდიდატები ცნობილია

**„ნაციონალურმა მოძრაობამ“ წინასაარჩევნო კონფერენციაზე თავიანთი საპროგრამო მოქმედების გეგმა, ასევე – თბილისისა და თვითმმართველი ქალაქების მერობისა და გამგებლების კანდიდატები წარუდგინა საზოგადოებას. შეკრებილ საზოგადოებას სიტყვით მიმართა ენმ პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარემ დავით ბაქრაძემ, თბილისის ორგანიზაციის ლიდერმა და საარჩევნო შტაბის უფროსმა გიგი უგულავამ, თბილისის მერობის კანდიდატმა ნიკა მელიამ, ქუთაისის მერობის კანდიდატმა გია თევდორაძემ, ყვარლის გამგებლობის კანდიდატმა ხატია დეკანოიძემ, ზუგდიდის რაიონის გამგებლობის კანდიდატმა თენგო გუნავამ და ენმ სტრატეგიული და ორგანიზაციული განვითარების მდივანმა, პარლამენტის წევრმა, გიორგი ვაშაძემ.**



ქუთაისის მერობის კანდიდატი გიორგი თევდორაძე, „ნაციონალების წინასაარჩევნო კონფერენცია

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების განცხადებით, ქვეყანაში მძიმე ვითარების, კერძოდ — უმუშევრობისა და კრიმინალის ზრდის, მთავრობის მხრიდან საარჩევნო დაპირებების არშესრულების და სრული უნიათობის ფონზე ენმ-ი საზოგადოებას სთავაზობს კონკრეტულ გეგმას, როგორც მთელი ქვეყნის, ისე — ცალკეული ქალაქებისა და რაიონების მასშტაბით.

გეგმის მიხედვით, „ნაციონალები“ ხალხს სთავაზობენ:

**საწვავზე და გაზზე აქციზური გადასახადის გაუქმებას** — რაც 25 თეთრით გააიაფებს საწვავს და 8 თეთრით გაზს მოსახლეობისთვის, ხოლო ბიზნესს გაუიაფებს საწარმოო ხარჯებს და, შესაბამისად, მეტი ადამიანის დასაქმების საშუალებას მისცემს;

**გადასახადების შემცირებას** — მათ შორის საშემოსავლო გადასახადის 5%-ით შემცირება, რაც ბიზნესს მისცემს საშუალებას გაფართოვდეს და მეტი ადამიანი დაასაქმოს;

**ბიზნესთან დაკავშირებული გადაცდომების და დარღვევების დეკრიმინალიზებას** — რაც ნდობას გააჩენს ბიზნესსა და სახელმწიფოს შორის და ბიზნესს ზრდის სტიმულს შეუქმნის;

**შეჩერებული ინფრასტრუქტურული პროექტების განახლებას;**

**ყველგან და ყველასათვის ხელმისაწვდომი, კომფორტულ საზოგადოებრივ ტრანსპორტს** - რაც გულისხმობს ახალი, კომფორტული ტრანსპორტის ამოქმედებას სატრანსპორტო ხაზებზე და შეღავათების ფართო სისტემას;

**თვითმმართველი ქალაქებისთვის მათი საარჩევნო სია კი ასე გამოიყურება:**

**თბილისში** — მერობის კანდიდატია **ნიკა მელია;**

**ქუთაისში** — მერობის კანდიდატად წარდგენილია **გიორგი თევდორაძე;**

**მცხეთაში** — **გურამ კინწურაშვილი** იყრის კენჭს, გამგებლობისთვის კი — **ცირა ჯავახიშვილი;**

**ზუგდიდში** მერობის კანდიდატად **თემურ ბასილაია** დასახელდა, გამგებლად კი — **თენგიზ გუნავა;**

**გორში** მერობის კანდიდატია — **არჩილ საბიაშვილი,** გამგებლის კანდიდატი კი — **კახა ტოლიაშვილი;**

**თელავში** — მერობის კანდიდატია **ალექსი ძულიაშვილი,** გამგებლის კანდიდატი კი — **გიორგი ბოტკოველი;**

**ახალციხეში** — მერობის კანდიდატია **გელა დემეტრაძე,** გამგებლის კი — **გოჩა გვარამაძე;**

**ოზურგეთში** — მერობისთვის კენჭს იყრის **ლევან გოგუაძე,** გამგებლობისთვის კი — **შალვა თავდიშვილი;**

**ამბროლაურში** — მერობის კანდიდატია **ოთარ სირაძე;**

**რუსთავში** — მერობის კანდიდატია **მამუკა ჩიქოვანი;**

**ბათუმში** — მერობის კანდიდატია **გიორგი დიასამიძე.**

# პოლიტიკოსებს შორის მოწონების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ირაკლი ალასანიას აქვს

NDI-ის მიერ ჩატარებული კვლევის თანახმად, პოლიტიკოსებს შორის მოწონების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ირაკლი ალასანიას აქვს. ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული კვლევის შეკითხვაზე — მოგწონთ თუ არ მოგწონთ, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი (96%) პატრიარქს აქვს. შემდეგ ადგილებს კი რეიტინგში უკვე პოლიტიკოსები ინაწილებენ. საქართველოს თავდაცვის მინისტრი მთავრობის წევრებს შორის რესპონდენტებს ყველაზე მეტად მოსწონთ. ალასანიას აღნიშნულ რეიტინგში დადებითი კუთხით 67%-იანი მაჩვენებელი აქვს, რესპონდენტთა 12%-ს ალასანია არ მოსწონს, 17%-ს კი მასთან დაკავშირებით ჩამოყალიბებული პოზიცია არ აქვს. მოწონების რეიტინგში შემდეგი პოზიციები უკავიათ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს, რომელიც რესპონდენტთა 64%-ს მოსწონს, გამოკითხულთა 15%-ს კი არა; დავით უსუფაშვილი 61%-ს მოსწონს, 18%-ს კი არა; კახა კალაძე 51%-ს მოსწონს, 24%-ს კი არა; ბიძინა ივანიშვილი 51% მოსწონს და 24% — არა და დავით ბაქრაძე, რომელიც 51% მოსწონს, 30%-ს — არა.

NDI-ს კვლევის საველე სამუშაოები 26 მარტიდან 18 აპრილის პერიოდში ჩატარდა და მის ფარგლებში 3 942 ადამიანი გამოიკითხა.

interpressnews.ge

# ქუთაისის მოსახლეობა ნეგატიურად არის განწყობილი საქართველოში დემოკრატიის ხარისხთან დაკავშირებით — NDI-ის კვლევის შედეგები

**ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები უკვე ცნობილია. საქართველოს მასშტაბით, დაახლოებით, 4000-მდე ადამიანი იქნა გამოკითხული.**

გამოპასუხების მაჩვენებელი კი 66%-ია. რაც შეეხება კონკრეტულად ქუთაისს, კვლევის თანახმად, გამოკითხულთა უმრავლესობის მიხედვით, ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად ფიქსირდება სამუშაო ადგილები, ტერიტორიული მთლიანობა და მესამე ადგილს იყოფენ სიღარიბე და ხელმისაწვდომი სამედიცინო მომსახურეობა.

კვლევის შედეგების მიხედვით, ქუთაისის მოსახლეობა ნეგატიურად არის განწყობილი საქართველოში დემოკრატიის ხარისხთან დაკავშირებით.

კვლევა ამა წლის 26 მარტიდან 18 აპრილის პერიოდში, საქართველოს მასშტაბით 3,942 პირისპირ ინტერვიუს წარმომადგენლობითი შერჩევის საფუძველზე ქართულენოვან მოსახლეობას შორის ჩატარდა. მასში ასახულია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები, ასევე მოსახლეობის დამოკიდებულება დემოკრატიის, რეფორმების და საგარეო თუ საშინაო პოლიტიკის საკითხების მიმართ.

ქუთაისის მასშტაბით, კვლევამ აჩვენა, რომ გამოკითხულთა 65% მხარს უჭერს საქართველოს ევროინტეგრაციას, გამოკითხულთა 50% მიიჩნევს, რომ რუსეთი საქართველოსთვის რეალურ და არსებულ საფრთხეს წარმოადგენს, რაც NDI-ის 2013 წლის ნოემბრის კვლევასთან შედარებით (36%) გაზრდილი მაჩვენებელია.

გამოკითხულთა 62% მიიჩნევს, რომ ყოფილი პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი კვლავ რჩება ხელისუფლების საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირად, ხოლო 18 % არ ეთანხმება ამ მოსაზრებას.

გამოკითხულთა 59% ფიქრობს, რომ ყოფილი ხელისუფლების თანამდებობის პირების მიმართ მიმდინარე სისხლის სამართლებრივი დევნა უმთავრესად ეფუძნება პრინციპს, რომ თანამდებობის პირებმა პასუხი უნდა აგონ საკუთარ ქმედებებზე. 22% კი მიიჩნევს, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ყოფილი სახელისუფლებო ლიდერების მიმართ მიმდინარე დევნა პოლიტიკური შურისძიების სურვილს ეფუძნება.

გამოკითხულთა 45%-მა, 43%-სგან განსხვავებით ,იცის „ეს შენ გეხება“ კამპანიის შესახებ, რომელსაც სამართლიანი არჩევნები, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია (GYLA) და საერთაშორისო გამჭვირვალობა (TI) ახორციელებს და რომელიც ითხოვს აიკრძალოს უკანონო მოსმენა და თვალთვალი.

აღნიშნული კვლევის შედეგები ქუთაისის მედიას NDI საქართველოს დირექტორმა ლუის ნავარომ გააცნო.

„ქართველები კვლავ მყარად ეთანხმებიან საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციას, ხოლო იმ გამოკითხულთა რაოდენობა, ვინც რუსეთს რეალურ მტრად მიიჩნევს, გაზრდილია. ქართველებისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია ანგარიშვალდებულება და ეს შეეხება როგორც ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლების ქმედებებს, ისე არსებული ხელისუფლების პოლიტიკას. აგრეთვე მოსახლეობის დამოკიდებულებას იმ ადამიანის როლის მიმართ, ვისაც არ უკავია საჯარო თანანმდებობა, მაგრამ გამოკითხულთა აზრით, კვლავ რჩება ხელისუფლების საქმიანობაზე გადაწყვეტილების მიმღებ პირად,“ — ამბობს ლუის ნავარო.

კვლევაში საშუალო ცდომილების ზღვარი +/- 2.1%-ია. საქართველოში აღნიშნული კვლევები შვედეთის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების სააგენტოს (sida) დაფინანსებით ხორციელდება და ატარებს CRRC-საქართველო.

**ჟანა ჯანელიძე**
psnews.ge

# „ანშლაგების“ დაპირებით მოსული ქუთაისის ოპერის თეატრის დირექტორი „ბიკინის ზოლის“ ეპილაციას შეეწირა

## ხატია ვედმედევას „ოცნებები“ საპნის ბუშტივით გასკდა...

**ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრი გასულ კვირას კვლავ ყურადღების ცენტრში მოექცა. ამჯერად ოპერიდან ახალი დირექტორი გაუშვეს, თანაც ისე, რომ თეატრში შესვლის უფლებაც აღარ მისცეს.**



ქუთაისის ბალანჩივაძეების სახელობის ოპერის თეატრი

ცნობილი გახდა, რომ ხატია ვედმედევა თანამდებობიდან ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელად დაბრუნებულმა გოგი ჭიჭინაძემ გაათავისუფლა. უფრო სწორად, კორექტულად მოსთხოვა, თანამდებობიდან წასვლის შესახებ განცხადება დაეწერა.

როგორც ვედმედევამ მედიასთან საუბარში განაცხადა, ჭიჭინაძემ თეატრიდან არა ფინანსური პრობლემების, არამედ პირადი კონფლიქტის გამო გაუშვა.

**ხატია ვედმედევა:** „გოგი ჭიჭინაძე ჩემთან შემოვიდა და მითხრა, უხმაუროდ დამეწერა განცხადება და თანამდებობა დამეტოვებინა. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ თითქოს ცენტრალური ხელისუფლების მოთხოვნით გამათავისუფლეს, სიმართლეს არ შეესაბამება. ასევე არარსებული მიზეზით, ვითომდა ფინანსების არამიზნობრივად ხარჯვის გამო გამათავისუფლეს, რაც სიმართლე არაა და ოპერის თეატრს ეს პრობლემა ჩემს მისვლამდეც ჰქონდა. ჭიჭინაძემ თავად მოსთხოვა სამინისტროს ჩემი გათავისუფლება. არ ვაპირებ, ეს ამბავი ასე დავტოვო და სიმართლის დასადგენად აუცილებლად მივმართავ სამინისტროს“.

ვედმედევამ ნათქვამის გასამყარებლად კულტურის მინისტრისთვის მიწერილი წერილი გაასაჯაროვა, სადაც აღნიშნავდა, რომ ჭიჭინაძე 7 თვის განმავლობაში 3 კვირა იმყოფებოდა თეატრში, ვედმედევა სპექტაკლების სიმცირესაც ჭიჭინაძეს აბრალებდა. მეტიც, ყოფილი დირექტორი წერილში იმაზეც კი საუბრობს, რომ ჭიჭინაძე მას არსებული პრობლემების გასაჯაროვების საშუალებას არ აძლევდა და მისი გათავისუფლება მთავრობის დავალებით მოხდა.

ვედმედევა ასევე აღნიშნავდა, რომ კონფლიქტის ერთ-ერთი მიზეზი რეჟისორი მაია გაჩეჩილაძე და დასის ხელმძღვანელი მაია ნიკოლაძე გახლდნენ, რომლებიც თეატრში იშვიათად მიდიოდნენ, თუმცა ხელშეკრულებით გაფორმებულ ანაზღაურებას სრულად იღებდნენ, იქვე აღნიშნავდა, რომ მაია ნიკოლაძე პარალელურად რამდენიმე სახელმწიფო სამსახურში არის გაფორმებული.

„რაც მთავარია, ბუღალტერს არაერთი დარღვევა ჰქონდა, რაზედაც აუდიტის დასკვნა მეტყველებს, თუმცა ჭიჭინაძემ ბუღალტერთან შრომითი ხელშეკრულების გაწყვეტის უფლება არ მომცა,“ — აღნიშნავდა ვედმედევა.

თავის მხრივ, ვედმედევას ბრალდებები უსაფუძვლოდ გამოაცხადა სამხატვრო ხელმძღვანელმა და აღნიშნა, რომ ყოფილი დირექტორი სავარძელს შელახული იმიჯის გამო დაემშვიდობა.

მისი თქმით, ქუთაისი არის ქალაქი, სადაც თანამდებობებზე არ უნდა იყვნენ ადამიანები, რომელთაც ისეთ შეურაცხყოფას აყენებენ, როგორც ეს ვედმედევას შემთხვევაში მოხდა.

**გოგი ჭიჭინაძე:** „არანაირი პიროვნული კონფლიქტი, უბრალოდ, ვედმედევამ დაკისრებული მოვალეობა „ღირსეულად“ ვერ შეასრულა, რის გამოც კორექტულად ვთხოვე, უხმაუროდ დაეტოვებინა თეატრი. მე არ ვარ ის ადამიანი, რომელსაც რაიმეს აიძულებენ, უსაფუძვლოა ვედმედევას ბრალდება, თითქოს მთავრობიდან მაიძულეს მისი მოშორება, ანდა პიროვნული კონფლიქტის გამო, თანამშრომლებს ვათავისუფლებდე. მან დაკისრებული მოვალეობა ვერ შეასრულა“.

**ოპერის თეატრთან ბრიფინგზე მისული ჟურნალისტები იმ პერიოდს იხსენებდნენ, როდესაც „მეოცნებე“ ვედმედევა შენობაში მის წინამორბედს, როზა დვალიშვილს არ უშვებდა. თავის დროზე, როზა დვალიშვილიც ოპერის ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვის ბრალდებას შეეწირა.**

თუმცა მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ოპერის თეატრის ახალ დირექტორად „ანშლაგების“ დაპირებით მოსული ვედმედევა თეატრის ბიუჯეტის ნაწილს „ბიკინის ზოლის“ ეპილაციას თუ მოახმარდა და ამ ბრალდების გამო, იგი საქვეყნოდ ქილიკის მიზეზი გახდებოდა.

ვედემედევას მიერ „ბიკინის ზოლის“ ეპილაციისთვის, ასევე სხვა ჰიგიენური მომსახურებისთვის სილამაზის სალონ „ელიზიუმში“ გადარიცხულ თანხებზე ინფორმაცია ოპერის თეატრის ყოფილმა საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის სპეციალისტმა და ყოფილმა არტ-მენეჯერმა გაახმაურეს.

ყოფილი თანამშრომლები მაშინ ვედმედევასთან ერთად, გოგი ჭიჭინაძესაც უპირისპირდებოდნენ და აღნიშნავდნენ, რომ ოპერაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლის შემდეგ კორუფციული გარიგებები გახშირდა.

**„2013 წლის 23 სექტემბერს თეატრში ალა-ფურშეტი გაკეთდა, რაზედაც 7000 ლარი დაიხარჯა. ხატია ვედმედევამ თქვა, რომ აღნიშნული 7000 ლარით თეატრი „ვითიბი“ ბანკმა დააფინანსა, რაც აღმოჩნდა, რომ სიმართლეს არ შეესაბამებოდა. იმ საღამოზე თბილისიდან 72-კაციან დელეგაციას უმასპინძლეს, რომელთა ერთღამიანი მოსვენება სასტუმროში 12 ათასი ლარი დაჯდა. თეატრს 23 ნოემბრიდან აქვს მოწვეული გერმანელი მსახიობებისთვის დავალიანება 1000 ევროს ოდენობით და თანხა დღემდე არ გადაურიცხავთ, მაშინ, როდესაც ხელშეკრულება გააფორმეს სილამაზის სალონ „ელიზიუმთან“ და მომსახურებაში 3000 ლარს იხდიან. ამ მომსახურებას სალონისგან თეატრის თანამშრომლები იღებენ და მასში შედის მაკიაჟი, ეპილაცია და თმის ვარცხნილობა,“** — ეს ის ბრალდებებია, რომელიც მაშინდელი დირექტორის მისამართით ისმოდა.

ვედმედევამ არ უარყო, რომ ეპილაციას იკეთებდა, თუმცა როგორც აღნიშნავდა, სალონს მხოლოდ საკუთარ თანხებს უხდიდა.

მოგვიანებით ხატია ვედმედევამ მისი მისამართით გამოთქმული ბრალდებების ავტორად „ნაციონალური მოძრაობა“ დაასახელა და აღნიშნა, რომ მას „ნაციონალებმა“ დაურეკეს და არჩევნების პერიოდში პრაიმერის ჩატარებისათვის თეატრის დათმობა სთხოვეს, რაზეც უარი მიიღეს. რასაც მისი მისამართით აგორებული ანტიპიარი მოჰყვა.

ვედმედევას ბრალდებებს მაშინვე ბრიფინგით გამოეხმაურნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ქუთაისის ოფისში და აღნიშნეს, რომ ვედმედევა აგონიაში იყო.

**აქვე აღვნიშნავთ იმასაც, რომ ხატია ვედმედევა ხუმრობის ობიექტი ქუთაისში გამოჩენისთანავე გახდა, როდესაც მერის ვაკანტურ ადგილზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო და გამარჯვების შემთხვევაში სამოქმედო გეგმაც წარმოადგინა. არც მეტი, არც ნაკლები, მოსკოვში განათლებამიღებული და საზღვარგარეთ სტაჟირებაგავლილი ხატია ვედმედევა საპარლამენტო ქალაქის სასათბურე მეურნეობად გადაქცევას აპირებდა.**

ვედმედევა ოპერის თეატრის დირექტორად გასული წლის საპარლამენტო არჩევნებამდე დაინიშნა. თუმცა, პოლიტიკური ორიენტაცია არასოდეს დაუმალავს, ის აქტიურად ჩნდებოდა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატის, გიორგი მარგველაშვილის მხარდასაჭერ აქციებზე და აღნიშნავდა, რომ მარგველაშვილი და მთავრობა მის მიერ წარდგენილი პროექტის რამდენიმე მილიონი ლარით დაფინანსებას დაჰპირდნენ.

ვედმედევამ ჩვენი გაზეთისთვის მიცემულ ინტერვიუშიც ქუთაისელებს თავის ამბიციურ პროექტზე და სამომავლო (ჩვენი აზრით, საკმაოდ არარეალურ) გეგმებზე ესაუბრა, რომლის მიხედვითაც ქუთაისს ახალი თეატრი ექნებოდა და უცხოეთში მცხოვრები სახელოვანი მომღერლებიც ქუთაისისკენ დაიძვრებოდნენ. თუმცა, ვედმედევას დაპირებები და „ოცნებები“ მალევე საპნის ბუშტივით გასკდა და ბიუჯეტის არამიზნობრივი ხარჯვისა და ხელფასების გადაუხდელობის გამო არაერთხელ გააკრიტიკეს. ოპერის თეატრს ფინანსური პრობლემები რომ ჰქონდა, ამას ის ფაქტიც მოწმობს, რომ საახალწლოდ ხელფასების დასარიგებლად ქუთაისის მერიამ დამატებით 25 000 ლარი გამოუყო.

„ჩვენ გვაქვს როგორც სახელმწიფოს მხარდაჭერა, ასევე კერძო სექტორიც აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში. ინვესტიციის ზუსტ რაოდენობაზე ახლა ვერ ვისაუბრებ, თუმცა, საკმაოდ დიდი თანხა ჩაიდება იმ უზარმაზარ პროექტში, რომელიც გვაქვს. ჩვენ დაგვჭირდება ახალი სასტუმროები, რესტორნები. ბიზნესი უნდა გაიზარდოს. რატომღაც ჰგონიათ, რომ კულტურაში ფულის ჩადება არ ღირს. ჩვენი მიზანია, შევქმნათ ისეთი გარემო, რომ დონორებმა თავად გამოთქვან სურვილი ინვესტიციის ჩადების. ქუთაისს მალე ვაქცევთ კულტურისა და განათლების ცენტრად. მე ვდებ პირობას, რომ იქნება ისეთი სპექტაკლები, სადაც ყოველთვის გვექნება ანშლაგი. მომავალ წელს ჩვენ შევხვდებით სულ სხვა თეატრში,“ —აღნიშნავდა ვედმედევა. გაზეთ „P.S.“-ისთვის მიცემულ ერთ-ერთ პირველ ინტერვიუში.

**როგორც იუმორის ქალაქში ხუმრობენ, ქუთაისი ვერ გახადა სოფლის მეურნეობის ხელშემწყობი ქალაქი და არც ახალი თეატრი აქვთ, მაგრამ ეპილაციით, რესტორნებით, სალონებით და ღრეობებით ოპერის თეატრი კი დაემსგავსა დიდ სოფელს.**

ჯერჯერობით, უცნობია, ჩაიცვამს თუ არა ვედმედევა „რკინის ქალამნებს“ სიმართლის დასადგენად, თუმცა, ის კი ცნობილია, რომ ქუთაისის მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი დირექტორის პოსტზე ღირსეულ და პროფესიონალ კადრს ეძებს.

**ნესტან ჩაგელიშვილი**

## ქუთაისში ნარჩენების შეგროვება თანამედროვე მეთოდით მოხდება

**პროექტი „ნარჩენების მართვის ინოვაციური მეთოდების დანერგვა საქართველოს, მოლდოვასა და სომხეთის შერჩეულ ქალაქებში“ 7 მაისს კიდევ ერთხელ განიხილეს ქუთაისში. შეხვედრაზე, რომელიც სახალხო დამცველის ქუთაისის ოფისში გაიმართა, წარმოდგენილი იყო პრეზენტაცია ნარჩენების მართვის სფეროში ევროკავშირის ქვეყნებში არსებული თანამედროვე გამოცდილების შესახებ. განხილულ იქნა 2005 წელს შემუშავებული ქუთაისის ადგილობრივი გარემოსდაცვითი სამოქმედო გეგმის სტრატეგიული პროგრამის „ქალაქი ნარჩენის გარეშე“ შესრულების საკითხი.**

შეხვედრის მონაწილეები გაეცვნენ მოსახლეობის გამოკითხვის შედეგებს. გამოკითხვა პროექტის ფარგლებში გასულ სამ თვეში ჩატარდა ქუთაისში და ნარჩენების მართვის მდგომარეობის და ნარჩენების დახარისხებული შეგროვების მიმართ მოსახლეობის დამოკიდებულების დადგენას ისახავდა მიზნად. გამოკითხულთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ ნარჩენების დახარისხება მისასალმებელია.

„პროექტი ნარჩენების მართვის ინოვაციური მეთოდების დანერგვა საქართველოს, მოლდოვასა და სომხეთის შერჩეულ ქალაქებში 2013 წლის 10 აგვისტოდან ევროკავშირის „შავი ზღვის აუზის 2007-2013 წწ. პროგრამის მხარდაჭერით მიმდინარეობს. პროექტს აღნიშნული ქვეყნების ქალაქების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები და არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, რომლის მიზანსაც ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდებით დანერგვის შესახებ მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის ამაღლება წარმოადგენს. უნდა მოხდეს გეგმის შემუშავება. ჯერ ქვეყანაში ნარჩენების მართვის თანამედროვე მეთოდის დანერგვის შესახებ კანონი არ არსებობს, მაგრამ არსებობს კანონპროექტი. აუცილებლად უნდა შეიქმნას სამოქმედო გეგმა, ამიტომ მიმდინარეობს მსგავსი შეხვედრები,“ — განაცხადა პროექტის კოორდინატორმა ქეთევან ცხაკაიამ.

შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ნარჩენების მართვა იერარქიის მიხედვით უნდა მოხდეს. ესენია: ნარჩენების თავიდან აცილება, მინიმალიზაცია, ხელმეორედ გამოყენება, მეორადი გადამუშავება, ენერგიის აღდგენა და ნაგავსაყრელზე განთავსება.

პროექტის მხარდამჭერთა შორის ლიდერ პოზიციას ქუთაისის მერია იკავებს. მერიის დასუფთავების სამსახურის უფროსის, თამაზ დეისაძის განცხადებით, ქალაქისთვის მსგავსი პროექტის განხორციელება მნიშვნელოვანია, რისთვისაც ქუჩებში სხვადასხვა ნარჩენებისთვის სპეციალური ურნები დაიდგმება. მისივე განცხადებით, ნიკეას ნაგავსაყრელზე ნარჩენების შეტანა ნელ-ნელა შეჩერდება, 2015 წლიდან კი ქალაქგარეთ ახალი ნაგავსაყრელი მოეწყობა, თუმცა, იქნება თუ არა შერჩეული ადგილი სოფელი ჭოგნარი, ამ დრომდე უცნობია, რადგან ადგილობრივებთან ჯერ კიდევ მიმდინარეობს მოლაპარაკება.

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge

## მიტოვებული შენობები საბინაო ფონდს გადაეცემა

ქუთაისის გარეუბნებში არსებული მიტოვებული შენობები საბინაო ფონდს გადაეცემა, რაც სოციალურად დაუცველი და მიუსაფარი ადამიანებისთვის იქნება გამოყენებული, ამის შესახებ 3 მაისს მოსახლეობასთან შეხვედრისას „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატმა შოთა მურღულიამ განაცხადა. მურღულიამ ასევე აღნიშნა, რომ ქუთაისი ორ ნაწილად იყოფა: ერთი შედარებით რეაბილიტირებული და მეორე, რომელსაც რეაბილიტაცია საერთოდ არ შეხებია. მურღულიამ ქუთაისელთა წინაშე პირობა დადო, რომ მისი მერობის შემთხვევაში, ეს პრობლემა ეტაპობრივად მოგვარდება და ქუთაისი განვითარებული ქალაქი გახდება.

შეგახსენებთ, რომ ამ დროისთვის ქუთაისის ადგილობრივ თვითმმართველობას საბინაო ფონდი არ გააჩნია, საცხოვრებლის მოლოდინში კი რამდენიმე ასეული ადამიანი იმყოფება.

**ნესტან ჩაგელიშვილი**
psnews.ge

# გაკვეთილზე თოხთან ერთად „ჰერი-ჰერი“

## „ყველა მთავრობა მიდის და მოდის, ჩვენი კი ისევ ისე ვართ“

**ძნელია, დღეს ცხოვრობდე მაღალმთიან სოფელში, გადაიდო ფეხი ფეხზე და ითვალო ვარსკვლავები ან ბუზები, როგორც ერთ ჩვენს თავადს სჩვეოდა ერთ დროს. თუმცა, სხვა რა გზაა, როცა სახელმწიფო იმის საშუალებას არ გაძლევს, რომ მიწა დაამუშავო, სარჩო მოიყვანო და ოჯახი გამოკვებო.**



„P.S. ფოტო“ (ლიკა ჩახუნაშვილი) ©

ბოლნისის რაიონი, დისველი – აჭარული დასახლების სოფელია და აქ 90 ოჯახი ცხოვრობს. დასავლეთ საქართველოდან, ხულოს მაღალმთიანი სოფლიდან, წაბლანიდან აღმოსავლეთში ეს ხალხი მაშინ გადმოასახლეს, როცა ქვეყანაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. 1989 წლიდან მოყოლებული, სოფელი განვითარებას აგრძელებს და ცდილობს, მომავალი თაობისთვის უკეთესი პირობები შექმნას. მედიატურის პროგრამაში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს ორგანიზებით შედგა, სოფელი დისველი პირველი მოექცა იმ პრობლემებით, რაც ასე აწუხებს აქ მცხოვრებ მოსახლეობას.

გვესაუბრება სოფლის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული **ზურაბ შაინიძე:**

„ჩვენ მიწისძვრის შედეგად დავზარალდით და აქ ჩამოგვასახლეს. პრაქტიკულად, ნახევრად აუშენებელ სახლებში მოგვიწია დაბინავება. მთელი რიგი პრობლემებია, რომელიც ასე აწუხებს აქაურ ხალხს. ხეობა საკმაოდ რთული რელიეფისაა. არ არის სარწყავი არხები, რომ ნათესები მოირწყოს და მოსავალი ნორმალურად ავიღოთ. ამოსასვლელი გზაც ძალიან დაზიანებულია, ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ დასამუშავებელი მიწა არ აქვს ოჯახების უმეტესობას.

იყო მიწები, მაგრამ ინვესტორმა შეისყიდა ეს მიწები და ხალხი კი დარჩა ისე. 100 ჰექტარი მიწა გაიყიდა. 145 ჰექტარია ჩვენს მფლობელობაში, მაგრამ ამდენ ხალხს ეს მიწა ეყოფა? სოფელში არ არის მუნიციპალური ტრანსპორტი. ერთადერთი – დენის და სასმელი წყლის პრობლემა არ გვაქვს.“

სოფელში საჯარო სკოლა ფუნქციონირებს, სადაც 120 მოსწავლე სწავლობს. ჩვენი დისველში სტუმრობა გაკვეთილების მიმდინარეობის პერიოდს დაემთხვა. ზარის გამოსვლას დაველოდეთ და ბავშვებიც და მასწავლებლებიც ჩვენს შესახვედრად გამოემართნენ საკლასო ოთახებიდან. „ძალიან გვიხარია, რომ დაინტერესდით ჩვენი სოფლის ცხოვრებით. მე ამ ბავშვების მასწავლებელი ვარ და ვამაყობ ჩვენი მომავალი თაობით. ბავშვები ოჯახებს თოხნაში ეხმარებიან და გაკვეთილებზე მერე მოდიან. გული მიკვდება, როცა მათ ნაშრომ ხელებს ვუყურებ. იცით, რა ნიჭიერი და განათლებული ბავშვები არიან? ჩვენი სკოლადამთავრებული ბავშვები სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტები არიან, მაგრამ რად გინდა, დაამთავრეს აგერ ახალგაზრდებმა და მობრუნდნენ ისევ სოფელში. მეცოდება, უბრალოდ, ბავშვები. არაა მუსიკა, არაა ცეკვა, არაა სპორტი. 120 ბავშვი 120 ოჯახია ხალხო და ამ მომავალ თაობას ნიადაგი სჭირდება, რათა მომავალი ბევრად კარგი ჰქონდეთ,“ – აღნიშნავს სოფლის სკოლის მასწავლებელი **მედეა ჯაფარიძე.**



„P.S. ფოტო“ (ლიკა ჩახუნაშვილი) ©

***

**მადონა შაინიძე** სოფელ დისველის მკვიდრია, იგი სამი შვილის დედაა და თვლის, რომ ხელისუფლება ამ დასახლებისთვის ვერასდროს იცლის. „ყველა მთავრობა მიდის და მოდის, ჩვენ კი ისევ ისე ვართ. სოფლის დაარსებიდან დღემდე მოყოლებული, არ გვაქვს კანალიზაცია. ნაგვის გატანა მოუგვარებელი პრობლემაა. ყველანაირად ვცდილობთ, სოფელი სუფთა იყოს. მე სამი შვილის დედა ვარ. ერთი სტუდენტია. ტყავს ვიძრობთ, რომ ბავშვებს უმაღლესი სასწავლებელი დავამთავრებინოთ. აქ ყველას ბანკის ვალი აქვს, ვისაც კი სტუდენტი ჰყავს ოჯახში. წლიდან წლამდე რამდენი სული საქონელი გავყიდოთ, რომ სწავლის გადასახადი გადავიხადოთ?“

**ქრისტინე ქედელიძე** მე-9 კლასის მოსწავლეა. წუხილს გამოთქვამს, რომ სოფელში ბიბლიოთეკა არაა. ის მთელ დროს სწავლას უთმობს და სურს, რომ მომავალში ექიმი გამოვიდეს. სოფლის პრობლემებით დაინტერესებულები ბოლნისის გამგეობას მივადექით. გამგებელი ადგილზე არ დაგვხვდა. კითხვებზე პასუხის გაცემას კი მოადგილეები და გამგეობის სპეციალისტები შეეცადნენ. „წელს სოფელ დისველში გათვალისწინებულია სოფლის საძოვრების შემოღობვა. ამ ეტაპზე ეს პროგრამაში ჩაჯდა. სამწუხაროდ, სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს, კერძო პირებს მიწა უყიდოს და გადასცეს მათ. საუბარია იმ ოჯახებზე, რომლებსაც საერთოდ არ აქვთ მიწა. სოფელ დისველში მიწები ათვისებულია. მოსახლეობამ არ მოინდომა მიწების შესყიდვა, ამის შემდეგ სოფელში შემოვიდა უკრაინელი ინვესტორი და შეისყიდეს ეს მიწა. ეს სადავო საკითხია და უნდა გადაწყდეს სასამართლოს გზით. თუ, რა თქმა უნდა, ინვესტორს მიუძღვის რაიმე დანაშაული. ცუდია, რომ ადგილობრივები ამ საკითხს თავის დროზე სერიოზულად არ მიუდგნენ და უნდოდათ, უსასყიდლოდ ჩაეგდოთ ხელში აღნიშნული ტერიტორია, მაგრამ ეს ასე არ ხდება,“ – განმარტავს ბოლნისის გამგებლის მოადგილე **დავით ასპანიძე**.

მოსახლეობის მიერ წამოჭრილ სხვა პრობლემებზე ასეთი კომენტარი გააკეთა გამგეობის ეკონომიკის სამსახურის უფროსმა **ბესო რეხვიაშვილმა**: „მართალია, დისველში არ არის ამბულატორია, მაგრამ მათ ჰყავთ სოფლის ექიმი და ამ ეტაპზე აქ საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. რაც შეეხება სარწყავი მიწის პრობლემას, როგორც კი გამოჩნდება ბიუჯეტში შესაბამისი თანხები, ამასაც მივხედავთ. დისველში ზღაპრული მიწაა, მოსავლიანი და მათ მიხედვა ნამდვილად სჭირდება. საჩუქრად უნდოდათ იქაურ მოსახლეობას ეს მიწა, მაგრამ ასე არ გამოვიდა. ას ჰექტარს იქ ინვესტორი ჰყავს.“

**ლიკა ჩახუნაშვილი**

---

# ერთი დღე გაღმა ნაპირიდან

## „ჩვენი ქალები რაიონში ჩასვლას ვერ ასწრებენ და გზაში მშობიარობენ“

**ერისიმედი აზერბაიჯანის საზღვრისპირა სოფელია, სადაც აჭარიდან ჩასახლებული ეკო-მიგრანტები ცხოვრობენ. 82 ოჯახი აქ 1989 წელს ხულოს რაიონის სოფლებიდან ჩამოასახლეს და შესაბამისად, ახალ დასახლებას, თემს „ერისიმედი“ უწოდეს.**

**გასაკვირი იყო ის ფაქტი, რომ იქ მედიატურით ჩასულმა ჟურნალისტებმა (ბილაინის აბონენტებმა) სმსის სახით ასეთი შეტყობინება მიიღეს „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება აზერბაიჯანის ტერიტორიაზე“. სოფელს, რომელსაც ერთ დროს ერისიმედი უწოდეს, გზა დაზიანებული აქვს. აქ არც სასწრაფო დახმარების მანქანა ადის და არც პენსიის მიმტანი ჰყავს მოხუცებს. პენსიას ისინი წნორში იღებენ და, შესაბამისად, გზის ფულად 15 ლარს იხდიან.**

**რა გამოიარა სოფელმა 1989 წლიდან დღემდე? სად აწყდებიან ისინი ყველაზე მეტად პრობლემებს და რა არის სოფლის დიდი ტკივილი ბოლო წლებში?**



„P.S. ფოტო“ (ლიკა ჩახუნაშვილი) ©

გვესაუბრება სოფლის მკვიდრი **იური ხოზრევანიძე:**

„აქ აჭარიდან 1989 წელს ჩამოგვასახლეს. ჩვენს გარდა, ქისტებიც ცხოვრობენ, დაახლოებით, ათი ოჯახია. ჩვენ დღეს კარგი მეზობლები ვართ. პრობლემა კი ისაა, რომ აქ სასწრაფო დახმარების მანქანა არ მოდის. ღვთის მადლით, ბავშვების რაოდენობა იზრდება სოფელში, მაგრამ ქალები ზოგჯერ გზაში მშობიარობენ, ამბულატორია არ გვაქვს. ამასთან ერთად, პენსიონერები პენსიის ასაღებად წნორში დადიან, რაც ხარჯებთანაა დაკავშირებული.

დღეს ვის ულხინს, ჩვენ რომ გვილხინდეს, მაგრამ საწუწუნოც არ გვაქვს, მძიმე დღეები გამოვიარეთ და ასე მოვედით აქამდე. აი, იმ ღობეს ხომ ხედავთ? იქ მხოლოდ ოცი მეტრის დაშორებით შეგვიძლია მისვლა. აზერბაიჯანელი მესაზღვრეების ტყვიამ სამი წლის წინ ათი წლის ბიჭი იმსხვერპლა, მათ ტერიტორიაზე გადავიდა საქონლის გადმოსადენად და მაშინვე ესროლეს. ეს ჩვენი პატარა სოფლისთვის ყველაზე დიდი ტრაგედია იყო ბოლო წლებში, რაც კი გვახსოვს. იმის შემდეგ ვითომ ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა ეს ტერიტორია. არც ჩვენ გადავდივართ იქით და არც ისინი გვაწუხებენ. კი ხედავთ, საზღვარს ღობესთან ერთად, ხეებიც ჰყოფს. მოსვლის დღიდან ჩვენი მთავარი პრობლემა, ყველაფერთან ერთად, უწყლობა იყო, მაგრამ საბედნიეროდ, წყალი გაგვიკეთეს. რა ვიცი, რა გითხრათ აბა, ვცხოვრობთ ასე და ჩვენს აჭარასაც არ ვივიწყებთ. კარგია, რომ ზოგჯერ მთავრობას ვახსენდებით და იციან აქ მოსვლა, განსაკუთრებით – არჩევნების პერიოდში.“

პენსიონერი **დავით შავაძე** იმ დღეს იხსენებს, როცა მეუღლესთან და ოთხ შვილთან ერთად აქ დასახლდა: „ძალიან გამიჭირდა ხულოს დატოვება, მაგრამ მეწყერმა საშველი არ მოგვცა, რას ვიზამდი. იძულებამ ერთი ქვეყნის „დასალიერიდან“ იმავე ქვეყნის „აღმოსავლიერში“ გადმომისროლა. ცხოვრება გავაგრძელე და კი მხედავთ, ახლა შვილიშვილებით დახუნძლული კაცი ვარ. დედაკაცი შინ არ არის, ის უფრო კარგად მოგიყვებათ, ჩვენ რა რთულ პერიოდში ჩამოვედით აქ. „მხედრიონები“ ხომ გახსოვთ, აი, ის დრო იყო.“

სოფელში საჯარო სკოლა მოქმედებს, სადაც 74 მოსწავლე სწავლობს. ფუნქციონირებს საბავშვო ბაღი, რომელიც ახალი აშენებულია. პატარა ეკო-მიგრანტებს სამომავლო გეგმები უკვე აქვთ. ედუარდ შავაძე 8 წლისაა და ამბობს, რომ მომავალში კარგი ფეხბურთელი გამოვა. „სულ მინდა, რომ ბურთი ხელში მქონდეს, მაგრამ დედას და მამას ხომ უნდა მივეხმარო. ვთოხნი, ვბარავ. ჩემი თოხი მაქვს. აი, დედა ახლა წავიდა მინდორში სამუშაოდ, იოსკა ბიძიას ეხმარება თოხნაში.“

ერისიმედელები მუსლიმანური სარწმუნოების მიმდევრები არიან, სოფელში მოქმედებს მეჩეთი, რომელსაც ჰყავს მოლა.

მოგეხსენებათ, საგაზაფხულო სამუშაოებია და სოფელს პატარების ჟრიამული აცოცხლებდა მხოლოდ. უფროსების უმეტესობა კი წელში მოხრილი, თოხით ხელში, მცხუნვარე მზის ქვეშ მიწას სარჩოს „სტყუებდა“.

უნდა აღინიშნოს, რომ სოფელმა ერისიმედმა ერის იმედი გაამართლა. მიუხედავად მთელი რიგი პრობლემებისა, რაც ამ ხალხმა გამოიარა, პრაქტიკულად, საკუთარ სახლში, აზერბაიჯანელ მესაზღვრეებთან ერთად ცხოვრობენ, მოუკლეს მოზარდი, მაგრამ ცხოვრებას იმედით აგრძელებენ. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ სოფელი ბავშვებითაა სავსე და მათ მზისნაკრავ სახეებს ღიმილი მუდამ დასთამაშებთ.

**ლიკა ჩახუნაშვილი**

---

**გვერდის მასალები მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია „სიდა“-ს და სამოქალაქო საზოგადოების რეგიონული ქსელის ორგანიზებით, მედიატურის ფარგლებში**

# ლგბტ ვახტანგ ოქროპირიძე ანტიდისკრიმინაციულ კანონს უარყოფითად აფასებს

**ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გამძაფრდა საუბარი ლგბტ თემაზე. ახლოვდება 17 მაისი, როცა განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ადამიანები გამოვლენ ქუჩაში და ამას არაერთგვაროვანი რეაქცია მოჰყვება. აღნიშნულ საკითხზე ჩვენ ვესაუბრეთ სკანდალურ გიორგი ჩხარტიშვილს, რომელიც ვახტანგ ოქროპირიძის სახელითა და ბედუკაძის ინციდენტით არის ცნობილი ახლო წარსულიდან.**

**— გიორგი, სახელმწიფო უკვე ლგბტ წარმომადგენლების კანონმდებლობით დაცვას აპირებს, თუმცა, ვფიქრობ, რომ ამ ორიენტაციის ადამიანებს არ ზღუდავდნენ ამ კანონის მიღებამდეც, რადგან კანონით არ იკრძალება არატრადიციული სქესობრივი ურთიერთობები, რამდენად საჭიროა ამ კანონის ამოქმედება?**

— მინდა გითხრათ, რომ სახელმწიფო ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებამდეც ახორციელებდა ლგბტ ადამიანების უფლებების დაცვას, ისევე, როგორც საქართველოს სხვა დანარჩენი მოქალაქეებისას, ვინაიდან საქართველოს მოქალაქეთა უფლებები გაწერილია საქართველოს კონსტიტუციაში. ვფიქრობ, რომ ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღება აბსოლუტურად არამართებულია ქართველი ხალხის ინტერესებიდან და ეროვნული ტრადიციებიდან გამომდინარე. მივიჩნევ, რომ კანონის მიღება გამოიწვევს ლგბტ თემის მიმართ განსაკუთრებულ აგრესიასა და სიძულვილს. ამავდროულად, მივიჩნევ, რომ პარლამენტს უნდა გაეთვალისწინებინა საქართველოს საპატრიარქოს რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების საფუძველზე უნდა მიეღო ანტიდისკრიმინაციული კანონი. ამის შემდეგ, რასაკვირველია, არ მოხდებოდა განსაკუთრებული დაძაბულობა. ვფიქრობ, კანონის მიღება „აუცილებელი“ გახდა ევროკავშირის დირექტივებით და ასოცირების ხელშეკრულებიდან გამომდინარე.

**— თავად ერთ-ერთი სკანდალური პიროვნება ხარ, თან არ მალავ არც წარსულს, არც ორიენტაციას, არც იმას, რომ აივ ინფიცირებული ხარ. მოგვიყევი შენზე, რა გზა გაიარე არც ისე დიდ ასაკში?**

— გეთანხმებით, ამ დროისათვის საქართველოში მეტ-ნაკლებად ცნობადი ვარ ჩემი სექსუალური ორიენტაციის, გამოხატვის თავისუფლებისა და ჩემ მიერ გაკეთებული განცხადებების საფუძველზე. მინდა გითხრათ, რომ გავიარე უმძიმესი ცხოვრების გზა, მაგრამ დღეს თავს ბედნიერ ადამიანად ვგრძნობ და მაქვს მომავლის დიდი იმედი. დიახ, მე აივ ინფიცირებული ვარ, თუმცა არ ვთვლი, რომ ეს განსაკუთრებული მოვლენა იყოს. სრულიად ჩვეულებრივი მოქალაქე და ადამიანი ვარ.

**— და მაინც, შენი პოზიციიდან, რატომ ხდება ადამიანი ლგბტ თემის წარმომადგენელი?**

— დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანის ლგბტ თემის წევრად ჩამოყალიბება დამოკიდებულია მისი, როგორც პიროვნების, ჩამოყალიბების პროცესში მიმდინარე გარემოებებით, აღზრდის, მისდამი მოპყრობისა და დამოკიდებულების, ასევე მასზე არასათანადო მოპყრობის ფაქტორებიდან გამომდინარე. ვთვლი, რომ ადამიანი ლგბტ პიროვნებად არ იბადება, მაგრამ არც იმას ვთვლი, რომ ლგბტ პირი დაავადებულია.

**— ვთქვათ და გყავდეს შვილი, რამდენად თმენით შეხედავდი მის არატრადიციულ სქესობრივ ურთიერთობებს? როგორც ვიცი, დღეს თავად ლგბტ შვილები მშობლებს თავგამოდებით უმალავენ თავიანთ ორიენტაციას...**

— რაც შეეხება თქვენს ამ კითხვას, მინდა გითხრათ, რომ ვინაიდან ვარ აივ ინფიცირებული, სამწუხაროდ, არ მეყოლება შვილი, მაგრამ თუ მეყოლებოდა, მე ყველაფერს გავაკეთებდი იმისთვის, რომ ის არ ყოფილიყო ლგბტ



ვახტანგ ოქროპირიძე

ადამიანი. ჩემთვის, როგორც მშობლისათვის, მნიშვნელოვანი იქნებოდა მისი პიროვნება და მისი გადაწყვეტილება, რასაც აუცილებლად შევეგუებოდი.

**— ამას წინათ წავიკითხე, რომ რომის იმპერიის პირველი თხუთმეტი იმპერატორიდან მხოლოდ ერთს არ ჰყავდა კაცი საყვარელი და ამიტომ ის დაცინვის საგანი იყო, მხოლოდ ქალებს აქცევს ყურადღებასო. ანუ, თუ ისტორიაში ჩავიხედავთ, ლგბტ თემა ყოველთვის არსებობდა, რატომ ხდება მისი დისკრედიტაცია მაშინ, თუ ირანის სამეფო კარზეც იფეთქებდა ხოლმე მამათმავლობა? არ არის უცხო არც დასავლეთისთვის ეს ურთიერთობები და ქართველების უმეტესობის აგრესია როგორშეგიძლია შეაფასო?**

— გეთანხმებით, ისტორიულ წყაროებში არის მოხსენებული ცნობები მამათმავლობისა და დედათმავლობის შესახებ, როგორც დასავლეთში, ისე აღმოსავლეთში, მაგრამ ყველა ქვეყანას თავისი ადათ-წესები და მიდგომა აქვს ამ საკითხებისადმი. ერი ვითარდება ეროვნულ იდეოლოგიასა და ტრადიციებზე დაყრდნობით, აუცილებელია მისი დაცვა.

საქართველოში არასოდეს არ ხორციელდებოდა ლგბტ ადამიანების, როგორც პიროვნებების, დისკრიმინაცია, გარდა იმ გამონაკლისი შემთხვევებისა, როდესაც ლგბტ ადამიანი სულში აფურთხებს ქართველ ერს! დიახ, სულში ჩაფურთხებაა ის, რომ მომავალ თაობას ასწავლი, როგორ უნდა უყვარდეს მისივე სქესის წარმომადგენელი! როგორ უნდა ასწავლიდე მას ჯგუფურ სექსს, ინცესტს და ასე შემდეგ, სულში ჩაფურთხებაა ისიც, როდესაც ქვეყანაში არის უმძიმესი მომენტები, შენ სწორედ მაშინ გამოდიხარ ქუჩაში და ითხოვ შენი უფლებების დაცვას, იმ უფლებების დაცვას, რომელსაც არავინ არ გართმევს და გიზღუდავს.

ვთვლი, რომ თუ ხარ ლგბტ ადამიანი, არ არის აუცილებელი ამის პროპაგანდა და ადამიანების გაღიზიანება. იცხოვრე შენთვის, რაც გინდა, ის აკეთე შენს სახლში, შენს საწოლში, მაგრამ არა — ქუჩაში, სადაც 11-13 წლის ბავშვები გიყურებენ და სწავლობენ. არ შეიძლება ამის გაკეთება, როდესაც შენ ხარ საქართველოს მოქალაქე! შენი პატრიარქი, რომელიც კონსტიტუციური ხელშეკრულების საფუძველზე არის უდიდესი პიროვნება, გამოდის და ამბობს: არ გააკეთო ეს! ეს არ არის ქართველი ხალხის ინტერესი! შენ მაინც გამოდიხარ და რა არის ეს, თუ არა ქართველი ხალხის სულში ჩაფურთხება?

**— თუ შენ საზოგადოება აგრესიულად მოგექცევა, წახვალ საქართველოდან თუ კანონმდებლობით დაიცავ თავს?**

— მინდა გითხრათ, რომ დიახ, მოხდება თუ არა ძალადობა ან თავდასხმა ჩემს მიმართ, მე საქართველოს მოქალაქეობას დავტოვებ უახლოეს მომავალში!

**როლანდ ხოჯანაშვილი**

psnews.ge

## პატრიარქი ანტიდისკრიმინაციულ კანონზე: „გავა დრო და ჩვენ თვითონ გაგვიკვირდება, თუ როგორ იყო მიღებული ეს კანონი“

**სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებასთან დაკავშირებით, გიორგობის სადღესასწაულო წირვის შემდგომ ქადაგებაზე მცირე განცხადება გააკეთა. პატრიარქის თქმით, უკანონობის დაკანონება არ შეიძლება და მოვა დრო, როდესაც ჩვენ თვითონ გაგვიკვირდება, თუ როგორ იყო მიღებული ეს კანონი:**

„მინდა, ვთქვა ორიოდე სიტყვა იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია მღელვარება საქართველოში. ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღების შესახებ მინდა ორიოდ სიტყვა მოგახსენოთ.

საერთოდ საქართველო ისეთი ქვეყანაა, რომ არასდროს არავის არ ჩაგრავდა, საქართველო ისეთი ქვეყანაა, სადაც ყველა ხედავდა და გრძნობდა თავისუფლად თავის თავს, მაგრამ არის საკითხები, რომლის დაშვება არ შეიძლება. როგორ შეიძლება უკანონობა დააკანონო? უკანონობის დაკანონება ეს დიდი ცოდვაა და სწორედ ამის შესახებ ვთქვი მე და მე რომ არ მეთქვა, ის იქნებოდა გასაკვირი და ის იქნებოდა საოცარი, რომ არ მეთქვა. ვალდებული ვარ, უნდა მეთქვა.

არც ერთი მორწმუნე ადამიანი არ მიიღებს ამას, ასეთ კანონს და მე მინდა ვთქვა, რომ გავა დრო და ჩვენ თვითონ გაგვიკვირდება თუ როგორ იყო მიღებული ეს კანონი და მე შევთხოვე უფალს, რომ უფალმა შეგვინდოს შეცოდებანი ჩვენი ნებსითნი და უნებლიეთნი.

ღმერთი მოწყალეა და ღმერთი გვაპატიებს ჩვენს ცოდვებს.“

# „კობრამ“ ქუთაისის წყალმომარაგების მოსაწესრიგებლად თუჯის მილების ფულით პოლიეთილენის მილები შეიძინა

## გელათის ქუჩის მოსახლეობას 24-საათიან წყალმომარაგებაზე ოცნება კიდევ დიდხანს მოუწევს

**პირველი** გვერდიდან

აღნიშნული პროექტი 2013 წლის 16 სექტემბერს დაიწყო და 2016 წლის მარტის თვეში უნდა დასრულებულიყო, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, პროექტის დასრულების თარიღმა გადაიწია და იგი 2017 წელს მიიღებს საბოლოო სახეს. პროექტს კომპანია „კობრა“ ახორციელებს, ხოლო უშუალო ზედამხედველობა კომპანია „ებტისა“-ს ევალება.

ქუთაისში პროექტი ითვალისწინებს: წყლის რეზერვუარების და სატუმბი სადგურების რეაბილიტაციასა და მშენებლობას; მაგისტრალური სადგურის ხაზებისა და შიდა ქსელის, ჯამური 52კმ მშენებლობას; მაღალსართულიან კორპუსებში 40.000 კერძო აბონენტის გამრიცხველიანებას და დგარებისა და მწოლანების რეაბილიტაციას; ახალი ქსელების მოწყობას...

„ახალი სამოქალაქო აზროვნება +“ ახორციელებს პროექტს: „ქუთაისის წყალმომარაგებისა და კანალიზაციის ქსელის რეაბილიტაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართვა“. ისინი აქტიურად ახორციელებენ პროექტების საზოგადოებრივ მონიტორინგს. ერთ-ერთი ასეთი მონიტორინგის დროს კი, ქუთაისში, გელათის ქუჩაზე დარღვევა აღმოჩნდა. კერძოდ, აღნიშნულ ქუჩაზე მაგისტრალური ჩამომშვები მილი უკვე ჩადებულია, მაგრამ, არა ჭედური თუჯისგან დამზადებული, როგორც თავდაპირველი პროექტით იყო გათვალისწინებული, არამედ — პოლიეთილენისგან.



საქართველოს იმერეთის რეგიონის ახალგაზრდული სამეცნიერო-საინფორმაციო ასოციაცია „ასა“-ს თავმჯდომარის, ზაზა ხელაძის განცხადებით, ზოგადად, დარღვევებით მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემის მოსაწესრიგებელი სამუშაოები:

„გელათის ქუჩაზე, თუჯის ნაცვლად, პოლიეთილენის მილებს აწყობენ, რაც არავინ იცის, რა დროს გასკდება. ვის არ ვკითხეთ, რატომ შეიცვალა პროექტში გათვალისწინებული თუჯის მილები, თუმცა პასუხს არავინ არ გვაძლევს, ეს თქვენ არ გეხებათო — ამბობენ. გარდა მაგისა, ხდება წყლის დარღვევით მიწოდება ახალდამონტაჟებული მილების დაზიანების გამო, უამრავ ტექნიკურ შეცდომას უშვებენ განმახორციელებლები და, საბოლოოდ, მოსახლეობა დაზარალდება,“ — აცხადებს **ზაზა ხელაძე.**

გელათის ქუჩაზე არსებული მდგომარეობის შესახებ გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის მედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო კი ასეთ ინფორმაციას გვაწვდის: — გელათის ქუჩაზე წყალმომარაგების ქსელის მშენებლობა-რეაბილიტაციის პროექტი დაიწყო 2013 წლის სექტემბერში და უნდა დასრულდეს 2014 წლის აგვისტოს ბოლოს. პროექტის ავტორია საერთაშორისო საპროექტო ტენდერში გამარჯვებული გერმანული კომპანია „კობრა“.

პროექტის ფარგლებში, გელათის ქუჩაზე დაგეგმილია 4 500 გრძივი მეტრის მაგისტრალური ქსელის მშენებლობა (პოლიეთილენის მილები PN 16 ატმოსფეროს). აქ გათვალისწინებულია, როგორც ძველი წყალგაყვანილობის მილების (იმ მოსახლეობაში ვინც წყალმომარაგებით სარგებლობს) რეაბილიტაცია, ასევე ახალი ქსელის მშენებლობა (მოსახლეობის იმ ნაწილისათვის, სადაც წყლის მილები არ არსებობდა). აგრეთვე, ტელეანძაზე დაგეგმილია 1000 მ³ მოცულობის რეზერვუარის მშენებლობა, რომელიც 2014 წლის აგვისტოში არ დასრულდება. იგი ვაჟა-ფშაველას ტერიტორიაზე 3 ახალი (2x3,500 მ³ და 1x3,000 მ³), თეთრამიწის 2 ახალი (2x2,000 მ³) რეზერვუარისა და კლდიაშვილის ქუჩაზე არსებულ რეზერვუართან განახლებული სატუმბი სადგურის მშენებლობის პარალელურად აშენდება.

ასევე, წყალმომარაგების კომპანიის ცნობით, წყალმომარაგების მაგისტრალური ქსელის სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება არ გულისხმობს მოსახლეობის მყისიერ 24-საათიან წყალმომარაგებაზე გადაყვანას, როგორც ეს იდეაში იყო გათვალისწინებული. ამისათვის საჭიროა რეზერვუარების არსებობა. ანუ, გელათის ქუჩის მოსახლეობა 24-საათიან მიწოდების რეჟიმზე მხოლოდ მას შემდეგ გადავა, როდესაც ყველა რეზერვუარი იქნება აშენებული.

რაც შეეხება მილებს, გაერთიანებული წყალმომარაგების განცხადებით, მართალია, პროექტის საწყის ნაწილში გელათის ქუჩის წყალგაყვანილობის მაგისტრალური ქსელის რეაბილიტაცია გათვალისწინებული იყო თუჯის მილებით. თუმცა, ახლომდებარე ქვეყნებში იმ პერიოდისთვის ვერ მოიძებნა თუჯის მილები. არადა, ლოდინი სამშენებლო სამუშაოების გაჭიანურებას გამოიწვევდა. სამშენებლო კომპანია „კობრამ“ წყალმომარაგების კომპანიასთან შეთანხმებით შეიძინა 20 ატმოსფერო წნევის ექვივალენტის პოლიეთილენის მილები, რაც გელათის ქუჩის წყალგაყვანილობის სისტემის ტექნიკურ პირობებს აკმაყოფილებს.

თუმცა, ადგილზე მისულებმა დავაფიქსირეთ, რომ გელათის ქუჩის ერთ-ერთ შესახვევში (რიონის ქუჩა) დასაწყობებული რამდენიმე თუჯის მილი აღმოვაჩინეთ. მაშინ, როცა წყალმომარაგების კომპანია ამტკიცებს, რომ თუჯის მილები ახლომდებარე ქვეყნებში ვერ იშოვეს.

ჩვენ, ბუნებრივია, კომპანია „კობრასთანაც“ გვსურდა აღნიშნული პროექტის დეტალებზე საუბარი, თუნდაც იმის გარკვევა, რა ჯდებოდა პროექტით თუჯის მილები და რა დაჯდა პოლიეთილენის მილები, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ეტაპისთვის „კობრასთან“ დაკავშირება ვერ მოხერხდა, ამიტომ თავს შევიკავებთ დამატებითი კომენტარისა თუ ანალიზისგან და სამომავლოდ, შევეცდებით, „კობრას“ ახსნა-განმარტებებიც მოგაწოდოთ მიმდინარე სამუშაოებთან და ფინანსურ მიმოქცევასთან დაკავშირებით.

**ჟანა ჯანელიძე**

# გამომგონებლები „ფიზმათიდან" — ღვთიური ნიჭით დაჯილდოვებულნი თუ ინტერესიანი და შრომისმოყვარე ჩვეულებრივი მოსწავლეები?

**ისინი ჩვეულებრივი ქუთაისელი ბიჭები არიან, უყვართ სპორტი, კომპიუტერული თამაშები, ზოგჯერ გაკვეთილებსაც აცდენენ და არც თუ ისე მაღალი ნიშნები აქვთ სასწავლო საგნებში. სამიოდე წლის წინ პირველად გაიგეს, რომ გამომგონებლობის სწავლა შეიძლება.**

მაშინ პირველად მივედი „ფიზმათში" (ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლაში) და სკოლის დირექტორს, ჩემს ძველ ნაცნობს (ჩემმა შვილებმა ეს სკოლა დაამთავრეს) და კოლეგას, ბატონ გენადი მარგველაშვილს შევთავაზე საგამომგონებლო კლუბის გახსნა სკოლის ბაზაზე. მოვუყევი სხვა სკოლებში მიღწეულ წარმატებებზე (მანამდე ორ სკოლაში იყო ასეთი წრეები და საერთაშორისო ოლიმპიადებზე მიღებული გვქონდა 2 ოქროს, ამდენივე ვერცხლის და რამდენიმე ბრინჯაოს მედალი), სწავლების მეთოდებზე, საჭიროებებზე და პერსპექტივებზე. კარგი მმართველია და უყოყმანოდ დამთანხმდა. ჩემი პირობები ასეთი იყო: ვიღებდი ყველა მსურველს მე-7 კლასიდან მე-12 კლასის ჩათვლით და მნიშვნელობა არ ჰქონდა როგორ სწავლობდა მოსწავლე. ჩამოვიარეთ კლასები და მოსწავლეებს მოკლედ გავაცანი როგორი იქნებოდა გრაფიკი და რას შეისწავლიდნენ. პირველ სემინარზე, დაახლოებით, 35 ბავშვი მოვიდა. იმედიანი და ანთებული თვალები, ღიმილი და იდუმალების შეგრძნება — „გამომგონებლები უნდა გავხდეთ", ეს ჩამრჩა მეხსიერებაში იმ დღიდან. სწავლების მეთოდიკიდან გამომდინარე, ამდენი ბავშვის ერთ სემინარზე სწავლება შეუძლებელი იყო, მაგრამ ვიცოდი, რომ ძალიან მალე ყველაფერი რიგზე იქნებოდა და მართლაც, რამდენიმე სემინარის შემდეგ დარჩა 10-12 ბავშვი. საქმე იმაშია, რომ საქართველოში ძალიან გავრცელებულია ე.წ. „ტელევიზორის სინდრომი", როცა არაფერს აკეთებ და სიამოვნებას იღებ (ასეა ტელევიზორის ყურებისას). ბავშვები კი ჩვენი განუყოფელი ნაწილია. ბევრს არ მოეწონა, რომ გამომგონებელს ბევრი შრომა და სწავლა სჭირდება და ეს თითქმის არ არის დამოკიდებული ნიჭზე (ან საერთოდ არ არის), როცა არაფერს აკეთებ და ნიჭი შენს მაგივრად იგონებს ფანტასტიკურ მანქანებს და რობოტებს. ზოგი, ალბათ, ფიქრობდა, რომ მე გამოვიგონებდი („... პროფესორია მაინც"), ისინი ამ გამოგონებებს კონკურსზე გაიტანდნენ და ოქროს მედლები და პრიზები გარანტირებული იქნებოდა. მოკლედ, თუ ყველაფერი მათი გასაკეთებელი, სასწავლი და საშრომი იყო, არ ეგონათ. დარჩნენ ისინი, ვისაც ინტერესი (უდიდესი მამოძრავებელი ძალა კაცობრიობის ცოდნის შეძენისა) სიზარმაცეზე მეტი ჰქონდა და სხვა მიმართულებით დროის დახარჯვას ეს ურჩევნოდათ.

რა თქმა უნდა, პირველად მუდმივი ძრავის, ანუ პერპენტუმ მობილეს გამოგონების მცდელობა იყო. ნიკას რამდენიმე იდეა ჰქონდა და ეშმაკური ღიმილით და უპირატესობის გრძნობით გადმოგვცა. აქტიურობდნენ სხვებიც. რამდენიმე სემინარის შემდეგ მიხვდნენ, რომ გამომგონებლობაში ისეთივე წესრიგია, როგორც მათემატიკაში და საჭიროა, ფიზიკის, ქიმიის და ბიოლოგიის ცოდნა. გაჩნდა ბიბლიოთეკიდან გამოტანილი პირველი წიგნები (გიორგის აინტერესებდა ფიზიკის ფუნდამენტური ცნებების მასის, ძალის და სხვათა ღრმა არსი), პირველი აზრიანი და მიმართული კითხვები ფიზიკის, ქიმიის და სხვა მასწავლებლებისადმი. პირველად დაინახეს, რომ ის ფიზიკური, ქიმიური თუ გეომეტრიული ეფექტები, რომლებსაც ამდენი ხანი სწავლობდნენ, თავისთვის და განყენებულად კი არ არსებობდნენ, არამედ სხვადასხვა გამოგონებებში ხდებოდა მათი გამოყენება. გაჩნდა პირველი გამოგონებებიც, ჯერ გაუბედავი და ეჭვით სავსე: „მართლა მე გამოვიგონე? მსოფლიოში ჯერ არავის უფიქრია ამაზე?" არ უნდოდათ დაჯერება. მერე დარწმუნდნენ, რომ ყველაზე დიდი გამომგონებელიც ჩვეულებრივი, მათნაირი ადამიანია. დაუკვირდნენ მეთოდიკას და აღმოაჩინეს, რომ ედისონი სულაც არ ყოფილა უდიდესი მოაზროვნე და მასზე ბევრად ძლიერი გამომგონებელი ნიკოლა ტესლა იყო. ნიკამ ელექტროობის შესწავლა დაიწყო და საკუთარი ხელით აწყობილი პირველი ელექტროსქემებიც გაჩნდა.

თავიანთი ხელითააწყვეს პირველი გამოგონებები, რომლებიც მათ ცხოვრებაში პირველ კონკურსზე უნდა გასულიყო: ენერგოეკონომიური მადუღარა (ნიკა ალავიძე), ჯავშანი (გიორგი ჭელიძე და საბა ფერაძე), ფანტანი (ვახტანგ ეგუტიძე და დავით ფუტკარაძე), ანკესი (ლევან კურტანიძე). და აი, რუსთავიც, სადაც 2012 წლის გაზაფხულზე ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდა გამომგონებელთა ოლიმპიადა, რომელზეც გამარჯვებულები მონაწილეობას მიიღებენ საერთაშორისო ოლიმპიადაში, რომელშიც 30-ზე მეტი ქვეყანა მონაწილეობს. სამწუხაროდ, მხოლოდ მეორე ადგილები, სიგელები და... საერთაშორისოზე ვერ გადავედით. უკან დაბრუნებისას გაცხარებული დავა თემაზე: უსამართლობა, გაორმაგებული შრომა, ახალი იდეები და ლეონარდო და ვინჩის კონკურსი. წარმატებამ თვალი ჩაგვიკრა. ბიჭები ნოუთბუქებით, სიგელებით და ღიმილით დაბრუნდნენ. ნიკა ალავიძის „წყალქვეშ სუნთქვის აპარატი" სერიოზული გამოგონებაა.

2013 წელს კი ახალმა იდეებმა, შრომამ და მონდომებამ ახალი დამსახურებული ჯილდოები მოიტანა. საერთაშორისო ოლიმპიადაზე დავიმსახურეთ ერთი ოქროს (ნიკა ალავიძე, „აქტიური ჯავშანი", გამოგონებულია ახალი ტიპის ჯავშანჟილეტი, რომლის მოდელი ნიკამ თავისი ხელითააწყო), ერთი ვერცხლის (გიორგი ჭელიძე, „ავტომობილის სტაბილიზატორი", ასევე ორიგინალური კონსტრუქცია, დამყარებული გიროსკოპიულ ეფექტზე) და ერთი ბრინჯაოს (დავით ჩხეიძე, „აქტიური ფილტრი", ეს გამოგონება ნიკასაც ეკუთვნოდა, მაგრამ ამ კონკურსის პირობებით ერთ მონაწილეს ორი გამოგონების წარდგენა არ შეუძლია?!) მედლები.

ეს უკვე სერიოზული წარმატება იყო. ამ წრეში უკვე გვიცნობენ და პატივს გვცემენ, გვიწვევენ სხვადასხვა კონკურსებზე (საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრის კონკურსზე საქართველოს ფარგლებში მრავალი ათეული პროექტიდან სულ 7 მომხსენებელი შეირჩა და აქედან 2 ჩვენი კლუბიდან: ნიკა ალავიძე — მეორე ადგილი, ფულადი პრიზი და საუკეთესო პრეზენტატორის წოდება და დავით ჩხეიძე, საუკეთესო ეკოლოგიური პროექტის წოდება და ფულადი პრიზი).

ნიკამ გარისკა და „გუგლის" ოლიმპიადაზე გააგზავნა თავისი ნამუშევარი. სიგელი მივიღეთ (ნიკამ გვიან გაიგო კონკურსის შესახებ და სერიოზული მომზადება ვერ მოასწრო).

ამავე წელს გაჩნდა პირველი სამეცნიერო სტატია, რომელიც აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენციაზე მოხსენების შემდეგ (მოხსენება გააკეთა ნიკა ალავიძემ და სახელგანთქმული პროფესორების დიდი მოწონებაც დაიმსახურა) დაიბეჭდა უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების ჟურნალში (მიხეილ კოტიშაძე, ნიკა ალავიძე, ზოგიერთი ფიზიკური ეფექტების გამოყენება ენერგოდამზოგ ტექნოლოგიებში).

სწორედ ამ კლუბის წარმატებების გამო ქუთაისის მერიამ სასწავლო ოლიმპიადებში გამარჯვებულთა შორის დასაჯილდოებელთა სიაში პირველად შეიყვანა გამომგონებლები და ფულადი ჯილდოები გადასცა მათ. ეს ჯილდოები არ იქნებოდა, რომ არა, ბატონების, ნიკო კაჭაჭიშვილის და ვაჟა ჯუღელის განათლების საკითხებისადმი სწორი და პროფესიონალური მიდგომა. სწორედ მათი დამსახურებაა, რომ ათი წლის მანძილზე (სწორედ ამდენი წელია მიმყავს საქართველოში ერთადერთი ამ ტიპის საგამომგონებლო კლუბი) პირველად დამაჯილდოვეს ფულადი პრემიით და მადლობა მითხრეს გაწეული მუშაობისთვის.



ანდრია რაზმაძის სახელობის ქუთაისის №41 ფიზიკა-მათემატიკის საჯარო სკოლის მოსწავლეები კომპანია „ინტელის" წარმომადგენლებთან ერთად

2013 წლის ბოლოს ჩატარდა განათლების სამინისტროს ეგიდით მოწყობილი ახალგაზრდა გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი". სამი ნამუშევარი იყო წარდგენილი ჩვენი კლუბიდან. პროექტები: მიკრობზარების აღმომჩენი აპარატი (ნიკა ალავიძე), აქტიური ფილტრი (ნიკა ალავიძე, დავით ჩხეიძე), ჭკვიანი მწოლიარე პოლიციელი (დავით ჩხეიძე, გიორგი ჭელიძე). თითოეული ნამუშევარი სერიოზული გამოგონებაა და აქტიურმა ფილტრმა გრან-პრი მოიპოვა. ეს ნამდვილი გამარჯვება იყო. როგორც გრან-პრის მფლობელები ა/წ 10 მაისს მივემგზავრებით აშშ-ს ქალაქ ლოს ანჯელესში, სადაც კორპორაცია ინტელის ეგიდით იმართება ახალგაზრდა გამომგონებელთა მსოფლიო ოლიმპიადა. იგი თავისი მასშტაბით გრანდიოზულია (მთელი მსოფლიოს 5 მილიონი პროექტიდან შეირჩა 1600), ასევე მრავალი და გრანდიოზული პრიზებით (მთავარი პრიზი 75 ათას დოლარიანი სასწავლო გრანტია). არანაკლები ჯილდოა, ალბათ, ლოს ანჯელესში ახალგაზრდა გამომგონებლების ნობელის პრემიის ლაურეატებთან შეხვედრა, რომელსაც ოლიმპიადის ორგანიზატორები აწყობენ.

ზაფხულში კი ნიკა და დათო ორი კვირით ინგლისში გაემგზავრებიან ლონდონის სამეცნიერო სკოლაში გამოცდილების მისაღებად. შესაძლებელია, ამ წლებმა საერთოდ შეცვალოს მათი ცხოვრების ვექტორი. ინგლისის სამეცნიერო სკოლაში კურსის გავლის ბედნიერება მხოლოდ რჩეულთა ხვედრია. იქაურობა დღეს პრესტიჟული უნივერსიტეტების აგენტებისგან, რომელთა მოვალეობაა კონტიგენტის მოძიება და მომავალში თავიანთ უნივერსიტეტში სწავლისათვის გადაბირება.

ამ სტატიას სკეპტიკოსებიც წაიკითხავენ, ალბათ, და პირველი, რასაც იკითხავენ ისაა, რომ „...კარგით რა, გამოგონება ხომ შემოქმედებაა, შემოქმედების სწავლა კი შეუძლებელია, ეს ნიჭის აღმაფრენაა და ნავარდია გამოუცნობ სივრცეებში. თქვენ რა მართლა გჯერათ, რომ გამომგონებლობის სწავლა ისე შეიძლება, როგორც გეოგრაფიის და მათემატიკის?!" მეორე კითხვა კი, როგორც წესი, ასეთია: „...და რა საჭიროა ამაზე დროის დაკარგვა სკოლაში? ამას ხომ უნივერსიტეტშიც ასწავლიან თუ ინჟინრობას აირჩევს მოსწავლე, ახლა კი ის საგნები უნდა ისწავლოს, რომელთა ჩაბარებაც ეროვნულ გამოცდებზე მოუწევს."

შევეცდები მოგახსენოთ რამდენიმე ჩემი მოსაზრება ამ საკითხებზე.

საქართველო არც თუ ისე მდიდარი ქვეყანაა სასარგებლო წიაღისეულით. შესაბამისად, შეუძლებელია ნედლეულის იმპორტი. ვფიქრობ, რომ უკვე წარსულს ჩაბარდა „ჩვენ მხოლოდ ღვინო, ჩაი და ბორჯომი გვარჩენს" ტიპის ილუზიები. საჭიროა ნედლეულის შემცვლელის მონახვა და მას დიდი ძებნა არ სჭირდება — ეს ინტელექტია. მაგრამ ინტელექტს სჭირდება განვითარება, ანუ საჭიროა, ვისწავლოთ ძლიერი აზროვნება. ძლიერად მოაზროვნე ადამიანების რაოდენობაზეა დამოკიდებული ინოვაციური ტექნოლოგიების განვითარება ქვეყანაში.

საქართველოში განათლების სისტემის არსებით ნაკლს წარმოადგენს ის, რომ მომავალ ინჟინრებს, ფიზიკოსებს, ქიმიკოსებს და სხვათ არ შეუძლიათ დასვან და გადაწყვიტონ პრინციპულად ახალი ამოცანები გამოგონების დონეზე. არ შეუძლიათ იმიტომ, რომ ამას მათ არავინ არ ასწავლის, არც სკოლაში და არც უნივერსიტეტში. ამჟამად მოქმედ სკოლებსა და უნივერსიტეტებში სასწავლო პროცესი, ძირითადად, აგებულია ისეთი თეორიული პრაქტიკული ამოცანების ამოხსნაზე, რომელთათვისაც უკვე არსებობს მზა პირობა, ამოხსნის მეთოდი მკაცრი ალგორითმის სახით, არსებობს ამ მეთოდით ამოხსნილი მსგავსი ამოცანები, ხოლო პედაგოგმა (ხშირად კი მოსწავლემაც) წინასწარ იცის პასუხი. ასეთი ამოცანების ამოხსნა დამღლელ მუშაობად იქცევა მოსწავლისათვის, რადგანაც მას არ მოეთხოვება ღრმა შემოქმედებითი აზროვნება და ამოცანის ამოხსნით ვერ განიცდის შემოქმედებით სიხარულს, რომელიც უძლიერესი კატალიზატორია სწავლის პროცესით მოსწავლის დასაინტერესებლად.

რასაკვირველია, მომავალმა სპეციალისტმა კარგად უნდა იცოდეს სტანდარტული მეთოდების გამოყენება სტანდარტული ამოცანების ამოსახსნელად, მაგრამ იგი აგრეთვე უნდა დაეუფლოს ცოდნას ისეთი შემოქმედებითი ამოცანების გადასაწყვეტად, რომელთათვისაც არ არსებობს მზა პირობა, უცნობია ამოხსნის მეთოდი, არ არის მსგავსი მაგალითები, ხოლო პედაგოგმა წინასწარ არ იცის პასუხი, რომელსაც შეიძლება რამდენიმე პასუხი ჰქონდეს.

ნებისმიერი ტექნოლოგია ოდესღაც და სადღაც იბადება, იგონებენ გამომგონებლები. ახალ იდეებს, რომლებზეც დამოკიდებულია მსოფლიოს პროგრესი, ყველაზე აქტიურად სწორედ ისინი აწარმოებენ. როგორ მუშაობს „იდეათა წარმოება?" არსებობს თუ არა ისეთი თეორია, რომლის დახმარებითაც შესაძლებელი იქნება გამომგონებლობის სწავლა, შემოქმედებითი ამოცანების ამოხსნა?

დიახ, ასეთი პარადოქსული მეცნიერება არსებობს და მას „საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორია" ეწოდება. მისი ავტორია აწ განსვენებული ინჟინერი, გამომგონებელი და მწერალი-ფანტასტი ჰენრიხ ალტშულერი. სხვადასხვა ქვეყნებში (რუსეთი, აშშ, იაპონია, გერმანია, შვედეთი, უკრაინა, ბელორუსი და სხვა) ამ თეორიის სწავლების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ კურსანტებში მკვეთრად იზრდება შემოქმედებითი პოტენციალი სემინარების პირველი თვიდანვე. ამასთან სემინარებს ესწრებოდნენ არა მარტო მეცნიერები, ინჟინრები და სტუდენტები, არამედ მასწავლებლები, ექიმები, ლიტერატორები, ეკონომისტები და სხვა. თითოეული მათგანი პოულობდა მისთვის საინტერესო მხარეს და წყვეტდა საგამომგონებლო ამოცანებს არა მარტო თავისი სპეციალობით.

საჯარო სკოლებში და უნივერსიტეტებში შექმნილ „საგამომგონებლო ამოცანების ამოხსნის თეორიაზე" დაფუძნებულ საგამომგონებლო წრეებში აქტიურად იყვნენ ჩართულნი არა მარტო ფრიადოსნები, არამედ — საშუალო და ცუდი მოსწრების მქონე მოსწავლეები და სტუდენტები.

ზემოთ თქმული დადასტურებულია ჩემი 10-წლიანი პრაქტიკით. სამ საჯარო სკოლაში და უნივერსიტეტში ჩამოყალიბებული კლუბის წევრები თავდავიწყებით ებმებოდნენ შრომაში, დამატებით სწავლობდნენ და სწავლობენ საგნებს, რომლებიც მათი პროგრამით გათვალისწინებული არ იყო და არავინ ავალებდათ. სკოლის მოსწავლეებმა დაიწყეს ფიზიკის და ქიმიის შესწავლა, რადგანაც დაინახეს თუ რაში სჭირდებოდათ მათ ეს საგნები. მუდმივად არ ჰყოფნით გამოყოფილი დრო და ითხოვენ, რომ სემინარი გაგრძელდეს რაც შეიძლება დიდხანს და ყველაფერ ამას აკეთებენ არა მარტო კარგი აკადემიური მოსწრების, არამედ საშუალო და საკმაოდ ცუდი მოსწრების მოსწავლეებიც.

ვფიქრობ, რომ ნაწილობრივ მაინც გაცემულია კითხვებზე პასუხი.

ახლა კი წარმატებები ვუსურვოთ საქართველოს ისტორიაში პირველ დელეგაციას ახალგაზრდა გამომგონებელთა მსოფლიო ოლიმპიადაზე, რომელთა მგზავრობის დაფინანსებაში მონაწილეობა მიიღეს ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და ქუთაისის მერიამ.

წინ კიდევ დიდი გზა, დიდი შრომა და მრავალი დამსახურებული გამარჯვებაა.

P.S. ამ სტატიის დაბეჭდვამდე ჩატარდა IYIPO-ს საერთაშორისო ოლიმპიადა, რომელშიც მონაწილეობდა 36 ქვეყნის პროექტი, სულ 120 გამოგონება. ამ ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვეს ჩვენი სკოლის მოსწავლეებმა ნიკა ალავიძემ, ქრისტინე ღინტიბიძემ და მერი თორთლაძემ. სპეციალური პრიზი მოიპოვა საქპატენტიდან (ipad) ნიკა ალავიძემ. ამავე ოლიმპიადიაზე ვერცხლის მედლები მიიღეს ირაკლი ფოფხაძემ, გიორგი ჭელიძემ, ლუკა ლომთაძემ, დათო კახიანმა და დათო ჩხეიძემ.

მეორე დღეს ჩატარდა ევროკავშირის საერთაშორისო ოლიმპიადის რესპუბლიკური ტური. გამარჯვებულები: ნიკა ალავიძე, დავით ჩხეიძე, გიორგი ჭელიძე.

ამ ოლიმპიადის დასკვნითი ტური ჩატარდება პოლონეთში (ვარშავა), სექტემბრის თვეში. მონაწილეობას მიიღებს 50-ზე მეტი ქვეყანა და მათ შორის ჩვენი გამარჯვებულები.

მართალია, ჩემს წრეში არ დადიოდა, მაგრამ მსგავს ტურნირებზე მრავალჯერ გაიმარჯვა „ფიზმათის" მე-10 კლასის მოსწავლე ქრისტინე ღინტიბიძემ. ვფიქრობ, სკოლა მას ცალკე სტატიას მიუძღვნის.

**მიხეილ კოტიშაძე**

საგამომგონებლო კლუბის ხელმძღვანელი, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის, კომპიუტერული ტექნოლოგიების დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი

## კვირის ჰოროსკოპი

**ვერძი:** სასურველია, გაითვალისწინოთ მიღებული რჩევები, განსაკუთრებით იურიდიული ან საბუთებთან დაკავშირებული, შესაძლოა, შეცდომები დაუშვათ.

**კურო:** ეცადეთ, თავი აარიდოთ ახლობლებთან კამათს. მოუსმინეთ მშობლებს და მათი რჩევები სამომავლოდ გამოიყენეთ სასიკეთოდ.

**ტყუპები:** მეგობრებთან ერთად უამრავ მნიშვნელოვან პრობლემას გადაჭრით. შორიდან სასიამოვნო ცნობებს მიიღებთ. პირადი საქმეები ძალიან მალე მოგიგვარდებათ.

**კირჩხიბი:** სამომავლო საქმეები თამამად დაგეგმეთ. მეგობრების დახმარებით ბევრ რამეს შეძლებთ, მაგრამ ოჯახური საჭიროებისათვის ხარჯებიც არ დააზანებს.

**ლომი:** დიდი ყურადღება უნდა გამოიჩინოთ თქვენი ჯანმრთელობისადმი. მოერიდეთ დაუფიქრებელ შეპირებებს, არ აჰყვეთ თქვენს სურვილებს. უფრო მეტი ყურადღება მიაქციეთ ბავშვებს.

**ქალწული:** გარშემომყოფები შეეცდებიან, თქვენი ცხოვრება გააკონტროლონ. ყველანაირად ეცადეთ, რომ ეს არ დაუშვათ. სამსახურში მცირე პრობლემები იჩენს თავს. ეცადეთ, კოლეგების კეთილგანწყობით ისარგებლოთ.

**სასწორი:** წინ ბევრი სიურპრიზი გელით. სასიყვარულო ურთიერთობებში სერიოზული არჩევანის გაკეთება მოგიწევთ.

**მორიელი:** შეეცადეთ, იყოთ პრინციპული და დაიცვათ საკუთარი პოზიცია. ნაკლები იფიქრეთ პრობლემებზე. ნუ მოდუნდებით. არ დაგავიწყდეთ, რომ ბედი უფრო ხშრად აქტიურ ადამიანებს წყალობთ. რატომღაც სიამოვნებას მოგანიჭებთ არა მიღწეული შედეგი, არამედ რაიმე ახლის შექმნის პროცესი.

**მშვილდოსანი:** ყველაზე აქტუალური ფინანსური საკითხები იქნება. დიდი მონდომების შედეგად სასურველ შედეგს მიაღწევთ კარიერაში. პირად ცხოვრებაში ჰარმონიული ურთიერთობა შენარჩუნდება.

**თხის რქა:** თქვენ გარშემო მრავალი გადაუწყვეტელი საკითხი მოიყრის თავს, რამდენადაც შეძლებთ ამ ყველაფრისთვის თავის გართმევას და ფიზიკური ძალების გადანაწილებას, იმდენად მოახერხებთ არსებული მდგომარეობის შენარჩუნებას.

**მერწყული:** შეეცადეთ, მაქსიმალურად გამოიყენოთ თქვენი ფიზიკური და სულიერი ძალები სასურველი საქმისათვის. ხელმძღვანელ პირებთან ურთიერთობა გაგიუმჯობესდებათ და თვითკმაყოფილებას იგრძნობთ.

**თევზები:** ახალ ნაცნობებთან ურთიერთობა არ იქნება ადვილი ამოცანა თქვენთვის. ჯერ ერთი ყველა კარგის მოსურნე არ არის, მოგიწევთ მოთმენა.

### წინა ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 3. კუნძული. 5. ამური. 6. თმა. 8. ბოა. 9. მაგია. 11. ალტინგი.
**შვეულად:** 1. წნორი. 2. ლუი. 3. კამბოჯა. 4. იზმაილი. 7. საინი. 10. პტი.



## NDI-ს კვლევა რეგიონული ტელევიზიების შესახებ

**NDI-ს კვლევის მიხედვით, რეგიონულ მაუწყებლებს შორის, რეგიონებში გამოკითხული მოსახლეობის მიხედვით, პროცენტულად ყველაზე მეტი ადამიანი მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციას ტელეკომპანია „რიონიდან" იღებს, რომელმაც 7 მაისს 25 წლის იუბილე აღნიშნა.**

მასზე არჩევანს ქუთაისის მოსახლეობის 62% აკეთებს. „ტელეარხ 25"-ს, რომელიც ბათუმში მაუწყებლობს, ამავე ქალაქში გამოკითხულთა, დაახლოებით, 60% უყურებს. 56% უყურებს ტელეკომპანია ოდიშს ფოთსა და ზუგდიდში. რეგიონის მიხედვით ყველაზე ნაკლები მაყურებელი „მეგა TV"-ს ჰყავს, მას ქუთაისში გამოკითხული ყოველი მეათე მოქალაქე (11%) უყურებს.

კითხვაზე, ვის ინტერესებს გამოხატავს მიმდინარე მოვლენების შესახებ მომზადებული გადაცემები, ქუთაისის მოსახლეობის უმრავლესობა (58%) მიიჩნევს, რომ ტელეკომპანია „რიონი" არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ახალციხეში გამოკითხული მოსახლეობის ნახევარი (49%) მიიჩნევს, რომ არც ახალციხის „მე-9 არხი" გამოხატავს ვინმეს ინტერესებს. ოზურგეთში კი მოსახლეობის 91%-ს უჭირს გარკვევა — ვისი ინტერესების გამომხატველია „გურია TV".

მიმდინარე მოვლენების გაშუქების მხრივ, მოსახლეობა რეგიონებში ყველაზე მეტად ახალციხის „მე-9 არხის" (46%) მიმართ არის ნეიტრალურად განწყობილი. პროცენტულად შედარებით ნაკლები (45%) ადამინია ნეიტრალურად განწყობილი ქუთაისში ტელეკომპანია „რიონის" მიმართ. ფოთისა და ზუგდიდის მოსახლეობის უმრავლესობამ (88%) კი არ იცის, ენდობა თუ არა ამ რეგიონში მაუწყებელ — „მეცხრე ტალღას".

NDI კვლევას საქართველოში ყოველწლიურად ატარებს. 2014 წლის 26 მარტიდან 18 აპილის ჩათვლით საქართველოს 12 ქალაქში, დაახლოებით, 4 ათასი რესპონდენტი გამოიკითხა. კვლევა შვედეთის საერთაშორისო განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტომ (Sida) დააფინანსა. ამ კვლევის მიხედვით, მედია ყველაზე ნაკლებად სამუშაო ადგილების, სიღარიბის და ფასების ზრდის შესახებ ამზადებს მასალას და ეროვნულ მაუწყებლებს შორის ყველაზე მეტი ადამიანი „იმედს" ენდობა.

**გელა ბოჩიკაშვილი**
media.ge



### განცხადება

# იყიდება ფუტკარი

იყიდება ფუტკარი თავისი ყუთით, 12 „რამკით", ახალი დედით, ყველაფერზე ნამკურნალევი.
**ფასი:** 250 ლარი;
**მისამართი:** ქ. ქუთაისი, ზ. გამსახურდიას 44 — №7. გოცულ გრიგოლი;
**ტელეფონი:** 593 46 26 10; (0431) 27 72 40.




შეადგინა ალეკო ნემსაძე

როგორ განვათავსოთ განცხადება გაზეთ „P.S."-ში („პოსტსკრიპტუმში")

## უფასოდ

ქვემოთ მოცემულ კუპონზე

**განცხადებების მიღება ხდება კერძო პირებიდან**

დაბეჭდვის თარიღი დამოკიდებულია კუპონის მიწოდების თანმიმდევრობაზე
**კუპონი უნდა ჩაბარდეს**
რედაქციაში - ქ. ქუთაისი, რუსთაველის ქუჩა 37ა;
სავაჭრო ცენტრ „ფუდმარტში"(ყოფილი „პოპული") - წიგნების მაღაზია „ქიმერიონი", რუსთაველის 141.
არ მიიღება კანონთან შეუსაბამო, შეურაცხმყოფელი, უხამსი, ეროტიკული შინაარსის განცხადებები.
განცხადების ღირებულება შედის გაზეთის ფასში

## მცირე განცხადების კუპონი

აღნიშნე კატეგორია

**უძრავი ქონება**
☐ გავყიდი
☐ ვიყიდი
☐ გავაქირავებ

**ავტო-მოტო**
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი

**სამსახური**
☐ ვეძებ სამუშაოს

**სხვადასხვა**
☐ ვიყიდი
☐ გავყიდი
☐ სხვა

☐ ცხოველები

**განცხადების შინაარსი**

ტელ: >>

სახელი და გვარი (მხოლოდ რედაქციის ცნობისათვის)

კონტაქტი (მობილური ან სტაციონალური)

ელექტრონული ფოსტის მისამართი

☐ არ ვარ განცხადების შინაარსთან დაკავშირებული კერძო მეწარმე
☐ ვაცხადებ თანხმობას, ფირმის მიერ გამოყენებულ იქნას განცხადებაში აღნიშნული მონაცემები

ხელმოწერა გარკვევით _______________

რედაქციას აქვს უფლება, კუპონზე შევსებული ერთჯერადი განცხადება დაბეჭდოს კუპონის ჩაბარების დღიდან 14 დღის განმავლობაში
კუპონი (ერთჯერადი) არის ძალაში მისი გამოქვეყნების დღიდან 3 კვირის განმავლობაში.

**12.05.2014**

## ვინ არის ფოტოზე?



პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



საქართველოს პარლამენტის წევრი, **ლევან ბერძენიშვილი, სულიკო ვეფხვაძემ** ამოიცნო.

## რას დაარქმევდით?



ირაკლი ალასანია

დაგვიკავშირდით:
- (0 431) 24-45-46, 24-82-25.
- psnews27@gmail.com

### პასუხი წინა ნომრის ფოტო-ვიქტორინაზე



ეკა ბესელია

ფოთი თავზე რომ გვემხობა, ეკას სულაც არ ეტყობა...

**დოდო ჭიქაბერიძე**

## კროსვორდი

**თარაზულად:** 3. რა არის მტკვარი? 5. ცურვის ერთ-ერთი სტილი. 6. ბედი, იღბალი. 8. მომღერალი ვანესა... 9. ქალაქი საქართველოში. 11. მდინარე ახლო აღმოსავლეთში.

**შვეულად:** 1. ... შარტავა. 2. ძველი ჩინელი ფილოსოფოსი .. ცზი. 3. ქალაქი და პორტი საფრანგეთში. 4. ქვეყანა აფრიკაში. 7. სანიავებელი. 10. მარსის თანამგზავრთა რაოდენობა.



## ნანა ჯორჯაძემ ქართულ ღვინოზე 35-სერიანი შემეცნებით-დოკუმენტური ფილმის გადაღება დაიწყო

**ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, რეჟისორმა ნანა ჯორჯაძემ ქართული ღვინის პოპულარიზაციის მიზნით 35-სერიანი შემეცნებით-დოკუმენტური ფილმის გადაღება დაიწყო. ფილმის ავტორი და წამყვანია ქართული ღვინის საპატიო ელჩი შალვა ხეცურიანი.**



ფილმი გახდება ქართული ღვინის საპრეზენტაციო და საპრომოციო მასალა, ერთგვარი სავიზიტო ბარათი, როგორც უცხოელი, ასევე ქართველი მაყურებლისთვის. მასში მოთხრობილი იქნება ქართული ღვინის ისტორიასა და კულტურაზე, მსოფლიოს წამყვან ღვინის ქვეყნებზე.

ფილმის სერიები მიეძღვნება ღვინის წარმოების 8000-წლიან ისტორიას, ღვინის დაყენებას და მის ნაირსახეობებს, ღვინის დეგუსტაციის წესებს, საქართველოს მევენახეობისა და მეღვინეობის მთავარ რეგიონებს, წამყვან ჯიშებს, სხვა ღვინოპროდუქტებს (ჭაჭა, ბრენდი, ცქრიალა ღვინო), მარნებს, მეღვინეებს და მათთან დაკავშირებულ საინტერესო ისტორიებს. სპეციალური სერია დაეთმობა ქართულ გასტრონომიას, უნიკალურ კერძებსა და მათ შეხამებას ღვინოებთან.

ფილმის სცენარისტია თამარ ბართაია. კონსულტანტები არიან გამოჩენილი ქართველი ისტორიკოსები და ღვინის სპეციალისტები. ფილმის შექმნაში აქტიური წვლილი შეაქვს საქართველოს ეროვნულ მუზეუმს. პროექტის მხარდამჭერები არიან ასევე ასოციაცია „ქართული ღვინო“, საქართველოს სომელიეთა ასოციაცია და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი „საქპატენტი“.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით 7 მაისს ქორთიარდ მარიოტში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელშიც ნანა ჯორჯაძესთან ერთად მონაწილეობდნენ ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან დავითაშვილი, ქართული ღვინის საპატიო ელჩი შალვა ხეცურიანი, ასოციაცია „ქართული ღვინის“ აღმასრულებელი დირექტორი თინა კეზელი, სცენარისტი თამარ ბართაია და საუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ დირექტორის მოადგილე გიორგი ქურდიანი.

psnews.ge

## მილოცვა

**ლილე მინდელი!** – გაზეთ „*P.S.*“-ის პირველი საუკეთესო ოჯახური წყვილის, ლელა თოლორდავასა და გოგა მინდელის იასამნისფერი ასული, დაბადებიდანვე გამორჩეული და განსხვავებული, ჩვენს თვალწინ დაფრთიანებული – 13 წლის იუბილეს აღნიშნავს დღეს!
13 წელი – ეს ხომ საუკეთესო ასაკია ადამიანის ცხოვრებაში, განუმეორებელი, როცა ყმაწვილქალობა იწყება, როცა სიყვარულის და სიცოცხლის მძაფრი შეგრძნების პერიოდი დგება!
გილოცავთ, ჩვენო უმშვენიერესო ასულო, ლილე, დაბადების დღეს და გისურვებთ, ბედნიერებით აღსავსე ყოფილიყოს შენი ცხოვრების ყველა ეტაპი, შენი ოჯახის ლამაზი წევრებისა და უახლოესი ადამიანების სიყვარულით გამთბარს გეცხოვროს მუდამ!

**ნატო გუბელაძე**

**მილოცვას გაზეთ „პოსტსკრიპტუმის“ მთელი რედაქცია უერთდება!**

## 13 წელი დედა ვარ და გეძახი ლილეს...



ცამეტი წლის წინ, 8 მაისი ჩემთვის დაუვიწყარ დღეთა ნუსხაში უპირველეს ადგილზე დადგა...

13 წლის წინ სახლიდან სამშობიარომდე უმოკლესი მანძილი ფეხით გავიარეთ – მე, გოგა მინდელმა და შორენა კაკაბაძემ...

გზაში კი, გოგამ შემომაპარა – „ვინუჟდენი ხარ, შოთა დაარქვა ჩვენს ბიჭსო“...

გოგას მამის, შოთა მინდელის (ნამდვილი ქუთაისელი, არაჩვეულებრივი პიროვნება, პროფესიით მხატვარი) დაბადების დღე იყო ის დღე...

ახლა სახელზე რა მაფიქრებდა?! ახლა ტკივილზე და მშობიარობაზე ვფიქრობდი მხოლოდ...

გასახსენებლად ღირს ის ამბავი, რომ მთელი ჩემი სამსახური, გაზეთი „*P.S.*“ („პოსტსკრიპტუმი) „ლერი ხონელიძის სამშობიარო სახლის“ ეზოში იდგა და მგულშემატკივრობდა... პირველ შვილს ელოდებოდა ჩემთან ერთად...

13 წლის წინ ჩემი ხმის იოგებს პატივი რომ არ ეცა, მთელი ლორთქიფანიძის ქუჩა ვერ გაიგებდა ჩემი გოგონას დაბადებას...

— „მინდელი, გოგო!“ – ფანჯრიდან გადასძახა გინეკოლოგმა, დემური შამუგიამ, გოგა მინდელს... მას კი, როგორც ნანული ცხვედიანი შემდეგში იხსენებდა, „ყბა მოექცა გვერდზე“...

13 წლის წინ ბიჭს ელოდებოდა მამა და გოგო მიულოცეს...

მე კი, ტკივილისაგან გავთავისუფლდი თუ არა, წერილი მივწერე გოგოს მამას – „თანახმა ვარ, დავარქვა შოთა“...

13 წლის წინ ამ წერილის საპასუხოდ გინებით ამიკლო გოგამ, „ბიჭი რომ ყოფილიყო, ხომ დამაწყვეტდი ნერვებს და ახლა გოგოს არქმევ შოთასო?!“

მე კი მშვიდი ხმით ვუპასუხე, რომ „ოფიციალურად შოთა იყოს, შინაურობაში ლილე დავუძახოთ მეთქი“...

13 წლის წინ მე შენ გაჩუქე სიცოცხლე და დაგარქვი „ლილე“...

13 წლის წინ შენ მე მაჩუქე დედობა და დამარქვი „დედა“...

13 წელია, ვცდილობ, ამოგიცნო და ვერ ვახერხებ: სხვანაირი ხარ, არაორდინალური და უცნაური... შენ უკვე რომ გაქვს შენი „მე“ – ესაა ჩემთვის ყველაფერი...

13 წელი დედა ვარ და ლილეს გეძახი, 13 წელი...

ცაცია ხელი გაუწოდე ცხოვრებას და სიამაყით გაეცანი — ლილე მინდელი...

**ლელა თოლორდავა**

MEGA CREDIT
ფულადი გზავნილები
ქუთაისი, რუსთაველის 141. (0 431) 27 52 45; ჭავჭავაძის 55/2. (0 431) 27 67 10

# სტალინის ღვინის მითი

**ქართულ ღვინოს ბევრი რამ უშლის ხელს განვითარებაში და რეალური ეკონომიკური თუ სხვა ფაქტორების გარდა, ერთ-ერთი უმთავრესი ხელისშემშლელია მითები — ერთი მხრივ, ზოგადად ღვინის მითოლოგიზებული გაგება და მეორე მხრივ — კონკრეტული მითები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში გასაქანს არ აძლევენ ქართული ღვინის რეალურ ღირსებებს. სამწუხაროა, რომ ღვინის სამშობლოში ღვინის შესაფასებლად ხშირად ძალზე საეჭვო კრიტერიუმებს იყენებენ. ერთ-ერთ ასეთ კრიტერიუმად იქცა ათწლეულების მანძილზე სტალინი და სტალინის დამოკიდებულება ღვინისადმი.**

სტალინის სახელთან დაკავშირება იყო, და სამწუხაროდ, ბევრისთვის დღემდე რჩება ღვინის მთავარ მარკეტინგულ სვლად. საბედნიეროდ, ეს მოვლენა ბოლო დროს არც ისეთი საყოველთაოა, როგორც ადრე, ან თუნდაც 90-იან წლებში, მაგრამ პრობლემა მაინც ზედაპირზე არსებობს. პოსტსაბჭოთა სივრცეც ყველანაირად უწყობს ხელს ამ ტიპის მარკეტინგს, ხოლო გასულ წელს რუსეთის ბაზარზე დაბრუნებამ, შესაძლოა, ხელახლა გამოაცოცხლოს ცოტათი მიძინებული ბელადომანიური ღვინო-ექსპერიმენტები.

საქართველოში თითქმის არ არსებობს სახელოვანი ღვინო, რომელიც სტალინის სახელთან არ იყოს დაკავშირებული.

პირველ ადგილზე, რა თქმა უნდა, ხვანჭკარაა, ღვინო, რომელიც რევოლუციის ბელადმა, შეიძლება ითქვას, პირდაპირ თავადებს, ყიფიანებს გამოსტაცა ხელიდან, წაართვა, როგორც რომელიმე რევოლუციონერი ართმევდა ქონებას თავადს და ხალხს აჩუქა (ამ სახელწოდებით ღვინო 1932 წლიდან გამოდის). ცხადია, აქ პირდაპირ წართმევას არ ვგულისხმობ, მიუხედავად იმისა, რომ გასაბჭოების შემდეგ რეალურად ჩამოერთვათ თავადებს ვენახები და ღვინის საწარმოები, არამედ ერთგვარ ჩანაცვლებას, სადაც სტალინმა ყველა ნიშა შეავსო.

დღესაც არაერთს იპოვით ხვანჭკარაში თუ მის მეზობელ სოფლებში, ჩორჯოში, ტოლაში თუ სადმელში ისეთ ადამიანს, ვისაც პირველ რიგში სტალინის სახელი ახსენდება თავის საამაყო ღვინოსთან დაკავშირებით (ზუსტად ასევე გამოსტაცა ხელიდან და მთლიანად გადაფარა დავით სარაჯიშვილის სახელი სტალინის სახელმა „ქართული კონიაკის“ შემთხვევაშიც. ლეგენდები აქაც საკმარისადაა — ჩერჩილი, სტალინი და „ქართული კონიაკი“, ენისელის შექმნის ისტორია და ა.შ.).

მეორე ადგილზე, ალბათ, ქინძმარაულია, რომელიც ასევე სტალინის საყვარელი ღვინო ყოფილა ლეგენდის მიხედვით. თუ არ ვცდები, ეს ღვინო ომის პერიოდში შეიქმნა და სტალინის გემოვნების ერთ-ერთ კახურ ეტალონად აქცია ხალხურმა გადმოცემებმა.

მესამე ადგილს, ალბათ, გორული მწვანე და ჩინური გაიყოფენ (უფრო ზუსტად, ატენური) — ბელადის გორული წარმოშობის გამო, შემდეგ თავკვერი, ხოლო მეხუთეზე უსახელოური მოხვდებოდა, საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი და ძვირფასი ღვინო, ღვინო, რომელსაც ნამდვილი საბჭოთა გლეხკაცი სტალინის გარდა, ალბათ, ვერავისთვის გაიმეტებდა.



სტალინის საყვარელი ღვინოების სიაში მომდევნო ადგილებს იკავებენ: სავარაუდოდ, მუკუზანი, წინანდალი და ნაფარეული — ესეც წინამორბედებისგან მემკვიდრეობით მიღებული თუ მათთვის წართმეული ფასეულობაა.

მოკლედ, სიის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მთავარი კი ის გახლავთ, რომ ლამის ყველა ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელება თუ სახელოვანი ჯიში ათწლეულების მანძილზე მჭიდროდ დაუკავშირდა სტალინის სახელს და, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ მისი მსხვერპლიც შეიქნა. სტალინი იყო ქვეყნის პირველი მევენახეც, მეღვინეც და, რაც მთავარია, დეგუსტატორიც, ანუ ჩვენებურად, — ჭაშნაგირიც, თუმცა არა, ჭაშნაგირობას სტალინს სხვები უწევდნენ და რადგან მუდმივად იმის შიშით ცხოვრობდა, რომ ვინმე მოწამლავდა, ხან ვის ასინჯებდა თავის ღვინოს და ხან ვის — უშუალოდ ამ საქმისთვის დაქირავებული სპეციალისტებით დაწყებული, საპატიო სტუმრებით და თანამებრძოლებით დამთავრებული.

სხვათა შორის, საიმონ სებაგ მონტეფიორე თავის წიგნში „წითელი მეფის კარი“ იმოწმებს ცნობას (ცნობას, რომელიც ასევე მითოლოგიის ნაწილია, ალბათ), რომლის თანახმადაც სტალინი ჯერ თავად ბერიას და მიქოიანს ასინჯებდა მათ მიერ მიერთმეულ ღვინოს, სიტყვებით, „კავკასიელები ხართ, ღვინის სხვებზე მეტად გაგეგებათ, ჯერ თქვენ გასინჯეთ“-ო. რის გამოც, ბერიამ და მიქოიანმა თურმე შეწყვიტეს სტალინთან ღვინის მიტანა და მხოლოდ ბელადის ხელით გახსნილ სასმელს გეახლებოდნენ.

მონტეფიორეს წიგნში რამდენიმე გვერდი ეთმობა სტალინურ ღრეობებს, თავისი დაძალებებით, უხამსი ალკოჰოლური ხუმრობებით, გულისრევებითა თუ უნებლიე შარდვებით, თუმცა ახლა ეს არ არის მთავარი, არამედ ის, რომ ქართული ღვინის სამყარო ჯერაც ვერ გამოსულა სტალინური „გურმანობის“ ხიბლიდან. ეგ კი არა, ამასწინათ ერთმა იმერელმა თქვა ერთ სუფრაზე, დაზუსტებით ვიცი, სტალინს ყოველ დღე ერთ ბატკანს უგზავნიდნენ ტელეფადანო (სოფელი თერჯოლის რაიონში).

ამ სიტყვებმა ყველა გაამხიარულა, სუფრაზე დიდი ჟრიამული ამტყდარა, მერე ჩამოუთვლიათ სტალინის საყვარელი ღვინოებიც და აღმოჩენილა, რომ ყველა ქართული ღვინო სტალინის საყვარელი ღვინო ყოფილა. რით არაა მითოლოგიური სიუჟეტი? სადღაც სამყაროს ცენტრში ზის ერთი გველეშაპი, რომელსაც ყოველ დღე, როგორც სამსხვერპლო ქალწულებს, ბატკანს უგზავნიან, ზედაც ნაირ-ნაირ ღვინოს სთავაზობენ, ის კი ნთქავს და ნთქავს ამ ყველაფერს, გამგზავნელები კი სიხარულით არ არიან, რომ მათი ღვინო ან მათი ბატკანი მოეწონა ყველაზე მეტად გველეშაპს, იგივე ბელადს.

ბელადის ამ მითოლოგიურმა მადამ (მნიშვნელობა არა აქვს, სიცოცხლეში თუ სიცოცხლის შემდეგ გაგარძელებულმა) კინაღამ ქართული ღვინის სახელი და იმიჯიც იმსხვერპლა წლების მანძილზე. სხვების არ ვიცი და პირადად ჩემთვის, ვიმეორებ, სრულიად ტრაგიკულია, რომ ბევრი ადამიანი საქართველოში დღესაც სტალინის პირის გემოთი სინჯავს და აფასებს ჩვენს უმთავრეს მონაპოვარს, ღვინოს და ცდილობს, დღესაც ამ მითში გახვიოს ქართული ღვინის უძველესი კულტურა. სამწუხაროდ, ტურისტებიც ხალისით იზიარებენ ამ ლეგენდებს, აიტაცებენ ხოლმე ამბებს, წერენ ბლოგებს, იღებენ ფილმებს, ყიდულობენ სტალინის ეტიკეტით დამშვენებულ გაუგებარი წარმოშობის სითხეს. ისებ ამ სტალინიანი ღვინის ჩამომსხმელებმაც რა ქნან, ძლიერია ეს ოხერი ბრენდი, თავისით მუშაობს, ინერციით, დიდი შრომა და ახსნა-განმარტება არ სჭირდება, და ჩვენც ხომ მეტი არაფერი გვინდა, ოღონდ რამე თავისით წავიდეს და!

**მალხაზ ხარბედია**
**ღვინის კლუბი/Weekend**

წიგნების მაღაზია ქიმერიონი
qimerioni.ge

ყოველგვარი ფასნამატის გარეშე შეიძინეთ:

- ქართული თუ უცხოური ლიტერატურა;
- კლასიკოსი და თანამედროვე მწერლების ნაწარმოებები;
- მაღალპოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული საბავშვო შემეცნებითი და გასართობი წიგნები;
- სამეცნიერო ხასიათის გამოცემები;
- ენციკლოპედიები;
- ლექსიკონები;
- ჟურნალ-გაზეთები

ნიგნები შენ გელოდება!

ქუთაისი, სავაჭრო ცენტრი „ფულმარტი“ (ყოფილი „პოპული“), წიგნების მაღაზია „ქიმერიონი“.
ტელეფონი: 790 927 927; (0 431) 274 474